# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 4 დეკემბერი, 2008 წელი.

№ 227 (6084)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


- მაკზე უარი რუსეთის გამო არ უთქვამთ
- კონდოლიზა რაისი სხვაგვარად აჭიკჭიკდა
- ნატოს სერიოზული გადაწყვეტილების მიღება უჭირს

2



## 6 ნატოს მატარებელმა ჩაგვიქროლა



## ბარაკ ობამა: სააკაშვილი სუსტი პოლიტიკური ფიგურაა

2-4

## ნუგზარ მოლოდინაშვილი: ჩვენი პრეზიდენტის ხელში ყველაფერი მოსალოდნელია...



3

## ახალგზორთან პრეზიდენტების კორტეჟს „ჭროლა ქართველებმა აუტეხეს“

8

## ზეთი და ფქვილი ნატოსა, ჩვენ კი დავუჯერდეთ ქატოსა

იმედი მაინც ზუტავდა
და თითქოს არცრა გვიშავდა,
„ნატო გვიშველის“ – ეს აზრი
სანამ მიშამდე მიშავდა!

როცა „ნატაშამ“ დაგვზომბა,
მაშინ გვიგანა „ნატომა“.
რატომა?!

ლელთ ღუნია



## ნატო: მიბრძანდით მოსაცდელ დარბაზში

8



## „ქაჯები“ მიდიან თუ მოდიან?

3

ბესო ჯუღელმა „საბავშვო ბაღში“ ძალიან დიდხანს იარა

## მცირე ბიზნესის განვითარება ქვეყანას გაჭირვებიდან ამოიყვანს?

6

11 სექსი არ ისწავლებოდა, მაგრამ ადამ და ევას დროიდან ვმრავლდებოდით

ალიანსი

## მაპზე უარი რუსეთის გამო არ უთქვამთ

**საქართველოსა და უკრაინისთვის მაპის არმინიჭება სიურპრიზი არავისთვის ყოფილა, - ამის შესახებ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბერნარ კუშნერმა სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა.**

მისივე თქმით, ბრიუსელის მინისტერიალზე მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ ალიანსის წევრებს, საქართველოსა და უკრაინას ეხება.

— ის გადაწყვეტილება, რაც საქართველოს მიმართ მივიღეთ, ვფიქრობ, საერთოდ არ ეხება რუსეთს. ეს მხოლოდ ჩვენ, საქართველოსა და ალიანსის წევრებს გვეხება. მინდა აღვნიშნო, რომ საკმაოდ დიდი პროგრესი შეინიშნება და ეს პროცესები კვლავ გრძელდება. მომავალში მიზნები აუცილებლად მიიღწევა, მაგრამ ამ ეტაპზე ეს შეუძლებელია. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, ეს გადაწყვეტილება არ უკავშირდება რუსეთს, ეს უკავშირდება ნატოს, საქართველოსა და უკრაინას, — აღნიშნა კუშნერმა.



ფრანგი მინისტრის თქმით, მინისტერიალზეც და ბუქარესტის სამიტზეც ითქვა, რომ ეს ქვეყნები ნატოში გაწევრების პროცესში არიან და პროცესი კვლავ გრძელდება, თუმცა, ამ ეტაპზე მათი მდგომარეობა სტანდარტებს არ შეესაბამებოდა.

## კონდოლიზა რაისი სხვაგვარად აჭიკჭიკდა

**აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა სპეციალურ ბრიფინგზე უკრაინასა და საქართველოსთან მიმართებაში ნატოს მინისტერიალის გადაწყვეტილება შეაფასა.**

მისი განცხადებით, მიზნების მისაღწევად ნატო-საქართველოსა და ნატო-უკრაინის კომისიები მუშაობას გააააქტიურებენ.

რაც შეეხება მაპს, ჩვენ ეს საკითხი არ წამოგვიწევია. გვინდოდა, რომ ბუქარესტის სამიტზე მიღწეული შეთანხმება კიდევ ერთხელ დაგვედასტურებინა და ასეც მოხდა. მიზნების მისაღწევად ამ ქვეყნებს ნატო-საქართველოსა და ნატო-უკრაიანის საბჭოების გააქტიურებას ვთავაზობთ. ეს ახალი ელემენტებია და ვფიქრობ, დადებითი, — აღნიშნა რაისმა.



ამასთან, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მიიჩნევს, სავსებით დადებითია თანამშრომლობის ის ფორმა, რომელიც ალიანსმა რუსეთთან მიმართებაში აირჩია.

— ჩვენ არ გვქონდა მოსკოვთან კონტაქტების გაუქმების პრეტენზია, საუბარი იყო მხოლოდ იმაზე, თუ რა სახით მოხდებოდა პარტნიორობის აღდგენა. ვფიქრობ, არაფორმალური კონსულტაციები ალიანსისთვის ოპტიმალური ვარიანტია და შეერთებულ შტატებს საწინააღმდეგო არაფერი აქვს, — აღნიშნა კონდოლიზა რაისმა.

## ნატოს სერიოზული გადაწყვეტილების მიღება უჭირს

**პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის შეფასებით, ვიდრე აშშ საერთაშორისო არენაზე სრულფასოვანი მოთამაშე არ გამხდარა და მისი პოლიტიკა რუსეთის მიმართ არ გამოკვეთილა, ნატოს სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება უჭირს.**

— ნატომ საქართველოსა და უკრაინისთვის მაპის მინიჭების საკითხი იმის გამო ვერ გადაწყვიტა, რომ აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნების გამო ვაშინგტონი, როგორც სერიოზული მოთამაშე, ჯერ საერთაშორისო პოლიტიკაში სრულფასოვნად არ არის ჩართული, — აღნიშნა საყვარელიძემ.

მისივე შეფასებით, ნატოს მინისტერიალმა მიღებული გადაწყვეტილებით საერთაშორისო არენაზე აშშ-ს გაზაფხულისთვის დაბრუნებამდე სტატუს-კვო შეინარჩუნა.

საყვარელიძის თქმით, იმ ვითარებაში, როცა ევროპა და აშშ რუსეთთან დიალოგის აღდგენის საკითხზე კამათობენ, ეს მაინც ევროპისა და აშშ-ს ახალი ადმინისტრაციის კამათია.

პოლიტოლოგის აზრით, იმ ვითარებაში, როცა რუსეთი დასავლეთს გამომწვევად უპირისპირდება, საქართველოს უსაფრთხოება უფრო მყარი მაშინაც ვერ გახდებოდა, ნატოს მინისტერიალს საქართველოსა და უკრაინისათვის მაპი კიდეც რომ მიენიჭებიათ.

მისივე თქმით, მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველოში სამხედრო ოპერაცია განახორციელა, ბალტიის ქვეყნებს, რომლებიც ნატოს წევრები არიან, საფუძვლიანი შიში გაუჩნდათ, რომ რუსეთი მათზეც აღმართავდა ხელს.

— იმის გათვალისწინებით, რომ ნატოს წესდების მე-5 მუხლი, რომელიც წევრ ქვეყანაზე განხორციელებულ აგრესიაზე ნატოს კოლექტიურ ჩარევას ითვალისწინებს, მოქმედებაში არავის უნახავს; აგვისტოს მოვლენებმა დაგვანახა, რომ თუ რუსეთმა გადაწყვიტა, ბალტიის ქვეყნებზეც შეუძლია ხელის აღმართვა, — დასძინა რამაზ საყვარელიძემ.

ინფორმაცია

## ვინ მიითვისა რუსეთის ფინანსები და სად იმალებოდა კოკოითი?

**ე.წ. სამხრეთ ოსეთის უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი ანატოლი ბარანკევიჩი ედუარდ კოკოითს კომპრომატების გამოქვეყნებით ემუქრება.**

ბარანკევიჩი აპირებს, პასუხი გასცეს კითხვებს, თუ სად იმალებოდა კოკოითი აგვისტოს ომის პერიოდში და ვინ მიითვისა სეპარატისტული ხელისუფლებიდან რუსული ფინანსური დახმარება.

გადაწყვეტილება გენერალმა ბარანკევიჩმა მას შემდეგ მიიღო, რაც კოკოითის ბანდფორმირებებმა იგი როკის გვირაბიდან უკან, რუსეთში გააბრუნეს.

სეპარატისტების ლიდერს რუს გენერალთან ურთიერთობა აგვისტოში დაეძაბა, რაც მისი მოხსნით დასრულდა.

კოკოითის ბრძანებით, ბარანკევიჩი ცხინვალის რეგიონში პერსონა ნონ-გრატად არის გამოცხადებული.

## პერეველები მოსავალს ვერ იღებენ

**საჩხერის რაიონის ოკუპირებულ სოფელ პერევში გლეხებს მოსავლის აღებისა და ჭირნახულის დაბინავების საშუალება არ ეძლევათ.**



ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, ყანებში ვერ შედიან, რადგან იქ გაურკვეული სახის ყუთები და ნივთებია დაყრილი.

პერევში მცხოვრები ლალი ბახუტაშვილის თქმით, ყანებში რუს ოკუპანტებს კარვები ჰქონდათ გაშლილი და არ არის გამორიცხული, ნაღმებიც იყოს დატოვებული.

საფრთხე მას შემდეგ გამძაფრდა, როცა ერთ-ერთი მოსახლის მიწის ნაკვეთზე ნაღმი აფეთქდა.

სოფლის მცხოვრებთა განცხადებით, საბალახოდ ვერც პირუტყვს უშვებენ და ვერც თვითონ მიდიან კარტოფილის ასაღებად. შესაბამისად, პერევი ზამთარს მოუმზადებელი ხვდება.

## დევნილებს სამგზავრო ავტობუსი მოემსახურება

**სოფელ კოდაში ჩასახლებული დევნილებისთვის თბილისისა და მარნეულის მიმართულებით სამგზავრო ავტობუსები დაინიშნა.**

ამის შესახებ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან იტყობინებიან.

თბილისის მერიის მიერ გამოყოფილი ავტობუსების ახალი ხაზის პრეზენტაციას კოდაში საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი დაესწრო.

როგორც მინისტრმა დევნილებს უთხრა, დასახლებას საწყის ეტაპზე ორი ავტობუსი მოემსახურება. უახლოეს მომავალში კი, რამდენიმე ავტობუსი შიდა ქართლის ადმინისტრაციიდან გამოიყოფა.

მგზავრობის ღირებულება 50 თეთრია. სოფელ კოდადან თბილისსა და მარნეულში დღეში სამი რეისი შესრულდება.

ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

თვალსაზრისი

# ბარაკ ობამა: სააკაშვილი სუსტი პოლიტიკური ფიგურაა

**გვესაუბრება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ექსპერტი, პროფესორი ბიძინა სავანელი**



**— ბატონო ბიძინა, რუსეთის მხრიდან აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების შედეგად საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით რამდენად რეალურია ქართული ტერიტორიების საბოლოოდ დაკარგვის პერსპექტივა?**

სრულიად რეალურია. საერთაშორისო პრაქტიკაში დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობა ხშირად დროის დიდი მონაკვეთს არ მოიცავს და დაკავშირებულია ორ პირობასთან. პირველი პირობის თანახმად: ახალმა მთავრობამ უნდა დაამტკიცოს, რომ ის ეფექტურად ახორციელებს ხელისუფლებას მთელ ან უმეტეს ტერიტორიაზე და მას ემორჩილება მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ძირითადი მასა. მეორე პირობის თანახმად:ახალმა მთავრობამ უნდა დაამტკიცოს, რომ ის ეფექტურად წარმოადგენს იქ მცხოვრები მოსახლეობის ძირითად მასას საერთაშორისო არენაზე. მოკლედ, ყველა შემთხვევაში ცხადი და ნათელი უნდა იყოს, რომ მთავრობა სიცოცხლისუნარიანი და ქმედუნარიანია. ამას კი სოხუმი და ცხინვალი რუსეთის ხელშეწყობით ადვილად მიაღწევენ, რასაც უახლოეს ხანში მოჰყვება რუსეთის და მისი მხარდამჭერი სხვა ქვეყნების მიერ მათთან სავაჭრო, ეკონომიკური, საფინანსო და სხვა მრავალმხრივი ურთიერთობების გაღრმავება და გაფართოება, და ბოლოს საკონსულო და საელჩოების დონეზე ურთიერთობების დამყარება. ეს უკანასკნელი კი საერთაშორისო ცნობის დამამთავრებელი ეტაპია.

**საქმე ისაა, რომ სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ყოფნა და, საერთოდ მისი სამართალსუბიექტობა ძირითადში არ არის დამოკიდებული საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტების მიერ მისი ცნობისგან.** ეს პირდაპირ არის აღნიშნული 1970 წლის დეკლარაციაში საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ. უფრო მეტი, არც გაეროს წესდება, არც გაეროს გენერალური ასამბლეის პროცედურა და არც უშიშროების საბჭო არ მოითხოვენ არაკონსტიტუციური გზით მოსული მთავრობის დე იურედ ცნობას, როგორც პირობას გაეროში სახელმწიფოს გაწევრებისა.

პირდაპირ ვაცხადებ: თუ სააკაშვილი და მისი გუნდი მშვიდობიანი გზით დროულად არ ჩამოვაშორეთ ხელისუფლებას, სოხუმის და ცხინვალის რეგიონებს სამუდამოდ დავკარგავთ.

**მოსალოდნელია თუ არა რუსეთის მხრიდან მორიგი „არაპროპორციული“ აგრესია დანარჩენი საქართველოს წინააღმდეგ?**

1993 წლიდან მოყოლებული მრავალგზის მითქვამს: **რუსეთი გამოუსწორებელი იმპერიალისტია, ხოლო არჩევნების გაყალბების გზით ხელისუფლებაში მოსული ეროვნებაგარეცხილი ახალგაზრდები — მისი პროვოკაციის ამყოლი.** რუსეთი მიღწეულით არ დაკმაყოფილდება. იგი შეეცდება კონფლიქტის ინიცირებას ახალქალაქის და სამეგრელოს შავიზღვისპირა რაიონებში. ამ უკანასკნელ სივრცეში მიმდინარეობს მოსახლეობის ინტესიური პასპორტიზაცია. სამწუხაროდ, ზოგიერთს დღესაც არ ასვენებს აფხაზურ-მეგრული სახელმწიფოს შექმნის იდეა, ზოგიერთი კი საქართველოს რუსეთის იმპერიაში დაბრუნების პერსპექტივაზე ოცნებობს და შეიძლება ამ მიმართულებით კიდევაც მოქმედებს (ჯავახეთში პასპორტიზაციის აუცილებლობა სულაც არ არსებობს. იქ ყველაფერი ხავერდოვნად შეიძლება ჩატარდეს)...



და მახსენდება დიდი კონსტანტინე ბატონის სიტყვები: „როდესაც ერს ამოდენა მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც კი ვერ გაამარჯვებინებს“.

**— სააკაშვილმა, მოგვიანებით თარგამაძემ და ბოკერიამ განაცხადეს, რომ რუსეთმა პირველმა დაიწყო ომი. რუსეთი საწინააღმდეგოს ამტკიცებს. ვის დავუჯეროთ?**

— რაიან გირსტმა, ეუთოს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელმა ცხინვალის რეგიონში, „ნიუ-იორკ ტაიმსს“ განუცხადა, რომ „სამხრეთ ოსეთში საბრძოლო მოქმედებები სწორედ ქართულმა მხარემ წამოიწყო... ქართული მხარის ვერსია, რომ პირველად დაიბომბა ოთხი ქართული სოფელი, არ დადასტურდა, რადგან ამ სოფლებთან შორიახლოს იმყოფებოდა ეუთოს დამკვირვებელთა ოფისები... **ცხადია, რომ ცხინვალზე შეტევა იყო პროვოკაცია“.** ანალოგიური განცხადება გააკეთა ეუთოს მეორე მაღალჩინოსანმა სტივენ იანგმაც.

იხ. 4 გვ.

◉ პოზიცია

# ჩვენი პრეზიდენტის ხელში ყველაფერი მოსალოდნელია...

## გვესაუბრება პოლიტოლოგი ნუგზარ მოლოდინაშვილი



**— ბ-ნ ნუგზარ, აგვისტოს მოვლენების შემდეგ საზოგადოებაში და ზოგადად პოლიტიკურ (ოპოზიციურ) სპექტრში გაჩნდა კითხვა: ვინ დაიწყო პირველმა ომი, რუსეთმა თუ საქართველომ? სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ — დასავლეთიც სწორედ ამ ჭრილში განიხილავს ამ თემას და როგორ ფიქრობთ, საერთოდ რამდენად მართებულია საკითხის ასე დასმა? საქართველო ხომ რუსეთს არ დასხმია თავს?!**

— კითხვას ლეგიტიმურად არსებობის უფლება აქვს და რადგან ასეა, ე. ი. პასუხიც არსებობს. დღევანდელი მონაცემები, უცხოური პრესა და სხვა საკითხები ერთმნიშვნელოვნად მეტყველებს იმაზე, რომ ომი პირველმა საქართველომ დაიწყო...

**— კი მაგრამ რუსეთს, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ აღიარებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ჰქონდა სამართლებრივი უფლება, რომ სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჯარი შეეყვანა?**

— რუსეთს ამის უფლება საქართველოსგან ჰქონდა მიღებული და კონფლიქტის ზონაში იდგა როგორც მედიატორი მხარე სამშვიდობო ძალების სახით. შესაბამისად იქ ყველაფერზე პასუხისმგებელი ის იყო და დღეს უკვე კითხვა — რატომ ჩაერია რუსეთი საქართველოს შიდა საქმეებში, უმართებულო და არალეგიტიმურია.

რაც შეეხება იმ სამხედრო ოპერაციებს, რომლებიც კონფლიქტის ზონის გარეთ განხორციელდა, კრემლმა მას ერთმნიშვნელოვნად უწოდა რეგიონში სტაბილურობის იძულებითი გზით დამყარების ოპერაცია. ანალოგიური სახელი დაარქვა კოსოვოში ჩატარებულ მსგავს ოპერაციას ნატომ, ერაყის ომიც და ავღანეთში წარმოებული სამხედრო მოქმედებებიც იგივე სახელწოდებით „მოინათლა“. ამდენად, რუსეთის მიერ განხორციელებული სამხედრო თუ პოლიტიკური ქმედებების საერთაშორისო სამართლებრივ ლეგიტიმაციაზე საუბარი აბსურდულია, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მისთვის ამის უფლება მინიჭებული იყო.

თუ დავაკვირდებით, ნებისმიერ, ყველაზე ნეგატიურ რეზოლუციაშიც კი, საუბარია ერთის მხრივ კონფლიქტის უგუნურ გამწვავებაზე და მეორის მხრივ არაადეკვატურ, არაპროპორციულ პასუხზე, ანუ გადაჭარბებულ რეაგირებაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში მხარე (რუსეთიძ, რომელსაც არაადეკვატური პასუხის ბრალდებას უყენებენ, ირწმუნება, რომ მას არაპროპორციული ძალა არ გამოუყენებია. პირიქით, რუსეთი ამტკიცებს, რომ საქართველო, განსაკუთრებით ბოლო წლების მანძილზე, გახდა ქვეყანა, რომელიც მთლიანად რეგიონისთვის წარმოადგენდა საშიშ, უკონტროლო მილიტარისტულ ძალას. ამის არგუმენტირება გარკვეული ფაქტებითაც შეუძლია, მაგალითად თუნდაც იმით, რომ მიუხედავად აშშ-ს უმაღლესი თანამდებობის პირების კატეგორიული გაფრთხილებისა, კონფლიქტი მაინც გამწვავდა და პირველი ტყვია სწორედ ქართული პოზიციიდან გავარდა.

**— რამდენად დიდია საფრთხე, რომ კონფლიქტი ისევ განმეორდეს?**

— სააკაშვილის ხელში ყველაფერი მოსალოდნელია.

**— დღეს ოპოზიცია (არასაპარლამენტო) ხელისუფლების გადადგომას კატეგორიულად მოითხოვს. როგორ ფიქრობთ, ისეთ რთულ პოლიტიკურ და არამარტო პოლიტიკურ ვითარებაში, როგორიც ამჟამად გვაქვს, რამდენდ გონივრულია მთავრობის შეცვლის მოთხოვნა?**

— არამარტო გონივრულია, დაგვიანებულიცაა, საერთოდ არ უნდა აერჩიათ ეს ხელისუფლება, მაგრამ მთავარი მარტო ეს როდია, უწინარესად უნდა ვიკითხოთ — იმას, ვინც ხელისუფლების შეცვლას მოითხოვს, აქვს რამე პოლიტიკური გეგმა, რითაც რადიკალური ცვლილებების განხორციელებას ჰპირდება თავის ამომრჩეველს? ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. შეიძლება, ცვლილებებმაც, თუნდაც რადიკალურმა, მოკლე დროში მნიშვნელოვანი შედეგები არ მოგვიტანოს, მაგრამ ის, რომ პოზიტიური პროცესების დაწყებას, პირველ რიგში, ამ ხელისუფლების მოცილება ჭირდება, თავისთავად უდავო ფაქტია.

**— პოზიტიურ პროცესებში კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— პოზიტიურ პროცესებში ვგულისხმობ ქვეყნის საერთაშორისო სუბიექტად ხელახალ შექმნას, აღორძინებას და ფეხზე დაყენებას, რადგან დღეს საქართველო, როგორც საერთაშორისო სუბიექტი, აღარ არსებობს.

**— არასაპარლამენტო ოპოზიცია, კონკრეტულად — რესპუბლიკელები ირწმუნებიან, რომ 2010 წლის დადგომამდე, ანუ 2009 წლის ბოლომდე, საქართველოს ახალი მთავრობა ეყოლება. როგორ ფიქრობთ, რამდენად ახლოსაა რეალობასთან ეს ვარაუდი თუ „წინასწარმეტყველება“?**

— ვინც პოლიტიკურ დრამატურგიაში მეტ-ნაკლებად ერკვევა, მისთვის დღესავით ნათელია, რომ ეს ხელისუფლება დიდხანს ვერ დარჩება, თუმცა, როგორც ზემოთ გითხარით, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, თუ შემცვლელი რადიკალურად განსხვავებული არ იქნება თავისი თვისებებით.

**— რა თვისებებს გულისხმობთ?**

— პიროვნულ თვისებებს, პოლიტიკურ ხედვას, ორიენტაციებს, პრიორიტეტების განსაზღვრას და ა. შ. რატომღაც საქართველოში წარმოიდგინეს, რომ ხელისუფლებაში ყოფნა არის ყველაზე იოლი საქმე, უფრო იოლი, ვიდრე ვაზის მოყვანა, ღვინის დაწურვა და სხვა. ეს ძალიან მავნე ტენდენციაა, რომელსაც ალბათ მომავალში გადაფასება დასჭირდება, ვინაიდან ხელისუფლება ეს არის ურთულესი მექანიზმი, რომლის მართვა ძალიან დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს, თუმცა, სიმართლე გითხრათ, ამ პასუხისმგებლობის მქონეს დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრში ვერავის ვხედავ.

იხ. 4 გვ.

◉ განდგომილნი

# „ქაჯები“ მიდიან თუ მოდიან?

## ბესო ჯუღელმა „საბავშვო ბაღში“ ძალიან დიდხანს იარა



**ბურჯანაძემ, ნოღაიდელმა, კიწმარიშვილმა ნაცმოძრაობის მეხოტბეობიდან ოპოზიციურ გუნდში გადაინაცვლეს. მანამდე იყო მინისტრთა გადადგომის საკმაოდ ხმაურიანი და ექსტრავაგანტული ფაქტები: ზურაბიშვილის მოცილება („ქაჯები კი არ მოდიან, მიდიან“), ხაინდრავასა და ოქრუაშვილის თანამდებობიდან „ლამაზად გაპარება“.** ამის მერე ვასილ მაღლაფერიძემ არ ისურვა გუბერნატორობა და არაპომპეზური გზით სახალხო დამცველის ოფისში, წამყვან თანამდებობაზე გადაინაცვლა. ოდნავ გვიან მიხვდა დეპუტატი გუგული მაღრაძე, რომ თანაგუნდელების უკრიტიკოდ აყოლა არ ივარგებდა და 7 ნოემბრის გამო სწორედ რომ დროულად გაერიდა. ამას წინათ კი თავგამოდებულმა ნაციონალმა ბესარიონ ჯუღელმა გადაწყვიტა თანამებრძოლთა გაკრიტიკება, მმართველი პარტიას „საბავშვო ბაღი“ უწოდა.

საზოგადოების ნაწილმა ეს დიდი ხანია იცის, მაგრამ ჯუღელისგან ამის გაგონება ნამდვილად გაუკვირდა. ჯუღელმაც კარგად იცოდა, რომ ამით ახალ სიტყვას არ იტყოდა, მაგრამ მაინც თქვა. იქნებ გამბედაობა იმიტომაც ეყო, რომ უცხო ქვეყანაში კრიტიკოსობა ადვილი მოეჩვენა, ან იქნებ იმიტომ, რომ უცხოს ქვეყნის ცის ქვეშ სამშობლოს ბედი ბევრად პირქუშად გამოიყურება, ვიდრე მას აქ დარჩენილი ოპტიმიზმით შეპყრობილი ადამიანები ხედავენ?!

და მაინც, რატომ უგანა ბესო ჯუღელმა თავის ნაცად გზას და საერთო მრწამსის მქონე გუნდს? ამ მიზეზების ახსნისას უფრო პირადი მოტივები იკვეთება, ვიდრე ზოგადსაკაცობრიო ან პატრიოტული.

თქვა, ჩემი სამშობლოს წინაშე ვალი უკვე მოვიხადეო და ასე „ვალმოხდილი“ გაუდგა იტალიისკენ მიმავალ გზას. ამბობენ, ჯუღელის განაწყენება საკუთარი მეუღლის პრობლემას უკავშირდება, მისთვის ნაციონალებს „წითელი ჯვრის“ ხელმძღვანელის თანამდებობა დაენანათო. ეს ამბავი მაშინვე გახმაურდა, თუმცა ჯუღელმა ამაზე საუბარი არ ისურვა. ეტყობა, უკანასკნელად მისცა შანსი საკუთარ ბიზნესს, თანაგუნდელებისგან გადაერჩინა. დეპუტატი „ბელა-სეტას“ ჰიგიენურ საფენებს აწარმოებდა და წლების მანძილზე გათავისუფლებული იყო მოგების გადასახადისაგან (!?ძ საარჩევნო სიიდან მისი გვარის ამოვარდნა კი უკვე გახდა უცხოეთში გადახვეწის საბაბიც.

ჯუღელმა თავს უშველა და ახლა ქართველ ხალხში შელახული ღირსების რეანიმაციას ცდილობს, თუმცა, ჯერჯერობით, შორიდან. მაგრამ ასევე ამბობენ, რომ ბევრი აქ დარჩენილიც ტოვებს საჯარო სამსახურს, განსაკუთრებით ბევრი განცხადება იწერება პარლამენტისა და მინისტრთა საბჭოს კანცელარიაშიო. სად წავლენ, ალბათ, ადვილი მისახვედრია. გეზს ოპოზიციისკენ აიღებენ. და თუკი ეს ტემპი გაგრძელდა, მაშინ ლელა კაკულიას წინასწარმეტყველება, ახალი სახეები მოდიანო, ნამდვილად ვერ ასრულდება.

თავის დროზე ხომ სააკაშვილის მეხოტეები იყვნენ: ხიდაშელი, ძმები ბერძენიშვილები, დავითაშვილი, ძიძიგური, კუკავა და ბევრი სხვა, რომლებიც ახლა რადიკალურ ოპოზიციონერობას ჩემობენ. მართალია, ზოგი ადრე გაერიდა მმართველ გუნდს, ზოგიც გვიან, მაგრამ ამით რა შეიცვალა ან რა შეიცვლება?

**თეა მოსია**

◉ ინფორმაცია

### მგალობლიშვილი მინისტერიალის გადაწყვეტილებით კმაყოფილია

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ნატოს მინისტერიალის გადაწყვეტილება შეაფასა.**

**როგორც მან აღნიშნა, ძალიან მნიშვნელოვანია ის გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოსთან მიმართებაში მინისტერიალმა მიიღო.**

**— დაფიქსირდა დადებითი მიდგომა და შეფასება საქართველოში მიმდინარე რეფორმებისა და პროგრესის მიმართ, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.**

**მისივე აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს ნატოში გაწევრების პროცესი იქნება შეუქცევადი.**

**პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ჩამოყალიბდა, ასევე, ახალი მიდგომები — გაწევრების მექანიზმში ჩაერთვება საქართველო-ნატოს კომისია, რომლის ფარგლებში ყოველწლიური სამოქმედო გეგმა შემუშავდება.**

**გარდა ამისა, მგალობლიშვილმა მთავრობის სხდომაზე ისაუბრა ევროკავშირის წარმომადგენლებთან მიმდინარე მოლაპარაკებებთან დაკავშირებითაც.**

### სრულად უნდა შესრულდეს სარკოზი-მედვედევის შეთანხმება

**საქართველოში ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მყოფი რუსი სამხედროების სარდლობის წარმომადგენლები შეხვედრებს გააგრძელებენ.**

**როგორც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიიდან იტყობინებიან, ამის შესახებ მისიის ხელმძღვანელი ჰანს იორგ ჰაბერი და რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილე ვალერი ევნევიჩი შეთანხმდნენ.**

**ჰაბერისა და ევნევიჩის შეხვედრა სოფელ ერგნეთში ჟენევის მიმდინარე მოლაპარაკებების ფარგლებში შედგა და ადმინისტრაციულ საზღვართან ერთობლივი სამართალდამცავი მექანიზმების ამუშავების ხელშეწყობას ისახავდა მიზნად.**

**გადაწყდა, რომ შემდგომ შეხვედრებში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რეჟიმის წარმომადგენლებიც ჩაერთვებიან.**

**ამასთან, ორივე მხარემ შეშფოთება გამოთქვა ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ვითარების გამო და სარკოზი-მედვედევის შეთანხმებების სრული შესრულების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.**

ინტერპრესნიუსი

### დაშავებული ქართველი სამხედროების რეაბილიტაციისათვის

**ლატვიის მთავრობა აგვისტოს ომის დროს დაშავებული 30 ქართველი სამხედრო მოსამსახურის რეაბილიტაციისთვის 40 ათას აშშ დოლარს გამოყოფს.**

**შესაბამისი ინიციატივა ნატოს სამოქალაქო თავდაცვის დაგეგმარების კომიტეტს ეკუთვნის, რომელიც ლატვიის მთავრობის მიერ იქნა მოწონებული. სამხედროების მკურნალობის ხარჯები ლატვიის ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან დაიფარება.**

**ცნობილია, რომ ქართველი სამხედროები რეაბილიტაციის კურსს ასევე ნატოს წევრ სხვა ქვეყნებშიც გაივლიან.**

ХО-ЭИВ-ЭНО

პოზიცია

# ჩვენი პრეზიდენტის ხელში ყველაფერი მოსალოდნელია...

(მესამე გვერდიდან)

**— შედარებით მაინც რომელი პოლიტიკური სუბიექტი უფრო სანდოდ და საიმედოდ მიგაჩნიათ?**

— აქამდე არაერთ ინტერვიუში მითქვამს და კიდევ ერთხელ ვამბობ — აქტიურ პოლიტიკაში არ ვარ სწორედ იმიტომ, რომ არამარტო მე თვითონ არ ვიცი, რაშია ამ რთული ვითარებიდან ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი, არამედ არ ვიცი, საერთოდ ვინმემ თუ იცის ეს.

**— რაც შეეხება მაპის მინიჭებისა და ნატოში გაწევრების პერსპექტივას, როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალური შანსი გვაქვს, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შევაბიჯოთ?**

— პრაქტიკულად, გამორიცხულია, ახლახან გამოქვეყნდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, კონკრეტულად, შტაინმაიერის განცხადება იმის თაობაზე, რომ გერმანიას ერთი წლის შემდეგ არავითარი საფუძველი არა აქვს, გადახედოს თავის გადაწყვეტილებას ბუქარესტის სამიტზე. ეს ნიშნავს, რომ ნატოს წევრი ეს უდიდესი მნიშვნელობისა და პოლიტიკური წონის მქონე ქვეყანა კვლავ იმ პოზიციაზე რჩება საქართველოსა და უკრაინის ალიანსში მიღების საკითხთან დაკავშირებით, რაც აქამდე ჰქონდა. თან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მარტო გერმანია არ არის საქართველოს ნატოში მიღების წინააღმდეგი, აშშ-ს, პოლონეთისა და ბალტიის ქვეყნების გარდა სხვა დანარჩენი ქვეყნებიც გერმანიის პოზიციას იზიარებენ.




**— ვთქვათ და მიგვიღონ ალიანსში, ეს საქართველოსთვის უსაფრთხოების სრული გარანტი იქნება?**

— მე ვფიქრობ, არა. იმიტომ, რომ ნატოს წესდების მეხუთე პუნქტი დღეს სერიოზულ დავას იწვევს, ვინაიდან იგი ითვალისწინებს ალიანსის ნებისმიერ წევრ ქვეყანაზე უცხო ქვეყნის მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში საომარ მოქმედებებში მთლიანად ბლოკის ჩაბმას. მართალია, მსგავსი პრეცედენტი ნატოს არსებობის მანძილზე არ ყოფილა, მაგრამ მიმაჩნია, რომ საჭიროების შემთხვევაში ეს პუნქტი გარკვეულ ქვეყნებზე არ ამოქმედდება, მაგალითად, პოლონეთის ან ბალტიის რომელიმე ქვეყნის გულისთვის საფრანგეთი რუსეთს ომს არ გამოუცხადებს.

**— რაც შეეხება აშშ-ის პოლიტიკურ კურსს, ობამამ პრეზიდენტად არჩევის პირველივე დღეს განაცხადა, რომ მისი ერთ-ერთი პრიორიტეტი რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება იქნება. რამდენად მოსალოდნელია, რომ ეს საქართველოს ინტერესების იგნორირების ხარჯზე მოხდეს?**

— მე უკვე ვთქვი, რომ საქართველო, როგორც საერთაშორისო სუბიექტი, აღარ არსებობს, შესაბამისად მის ინტერესებზე საუბარი აბსურდულია.

ძნელი სათქმელია, რა გახდება რუსეთ-აშშ-ს შორის ვაჭრობის საგანი, შეიძლება ეს იყოს მთლიანად კავკასიის რეგიონში ჰეგემონობა, გარკვეული ექსკლუზიური გავლენა რომელიმე ქვეყანაზე ან რეგიონის რომელიმე მონაკვეთზე.

**— ამ დღეებში რუსეთის დუმაში გაკეთდა განცხადება, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველო გააგრძელებს მილიტარიზაციის პროცესს, გამორიცხული არ არის, ჯავახეთში ახალი კონფლიქტური კერა გაჩნდეს...**

— არა მგონია, აგვისტოს მოვლენების შემდეგ, საქართველოს მილიტარიზაციას ვინმემ ხელი შეუწყოს, ყოველ შემთხვევაში დროებით მაინც, სანამ ნორმალური მთავრობა არ გვეყოლება, იმიტომ, რომ ამ ხელისუფლებისთვის იარაღის გადაცემა საკმაოდ უპასუხისმგებლო საქციელია, რასაც უკვე ყველა კარგად ხედავს.

**— არასაპარლამენტო ოპოზიცია აცხადებს, რომ ეს ხელისუფლება, გარკვეულწილად, ხელს აძლევს რუსეთს...**

— გარკვეულწილად ნამდვილად ხელს აძლევს, ვინაიდან რუსეთმა (როგორც გეგმავდა, სააკაშვილის პირობებში, ყველაზე სრულყოფილად განახორციელა საკუთარი მიზნები საქართველოსთან მიმართებაში.

ჯაბა ჟვანია

ინფორმაცია

## უნგრეთის ელჩმა რწმუნების სიგელები გადმოგვცა

**უნგრეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში გაბორ შაგიმ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს დავით მაღრაძეს რწმუნებათა სიგელების ასლები გადასცა.**

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, რწმუნებათა სიგელების გადაცემის ცერემონიალის შემდეგ გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა ქვეყნებს შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობები და საქართველოში მიმდინარე მოვლენები განიხილეს.**

**მინისტრის მოადგილემ უნგრეთის ელჩს მიულოცა ახალ თანამდებობაზე დანიშვნა და მადლობა გადაუხადა უნგრეთის რესპუბლიკის მთავრობის მიერ საქართველოსათვის გაწეული მხარდაჭერისათვის.**

**თავის მხრივ, ელჩმა კიდევ ერთხელ დაადასტურა უნგრეთის მზადყოფნა მხარი დაუჭიროს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

თვალსაზრისი

# ბარაკ ობამა: სააკაშვილი სუსტი პოლიტიკური ფიგურაა

(მეორე გვერდიდან)

უფრო მეტი, 11 სექტემბერს „ეხო მოსკოვის“ კორესპონდენტს რუსეთ-საქართველოს სამხედრო დაპირისპირებასთან დაკავშირებით ამერიკის ელჩმა ჯო ბრედლიმ შემდეგი განუცხადა: „ჩვენ დაბეჯითებით ვურჩევდით სააკაშვილს, არ ჩართულიყო რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციაში, რაშიც ის დამარცხდებოდა. მაგრამ სააკაშვილმა ჩვენს რჩევას ყური არ უგდო. **ჩვენ საქართველოს დავეხმარეთ ჯარის შექმნაში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მას ამით მწვანე შუქი მივეცით, ჩართულიყო რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციაში.“** უფრო ადრე ასეთივე უკმაყოფილება კონდოლიზა რაისმა და მისმა მოადგილემ ფრიდმა გამოთქვეს.

ამერიკული სააგენტოს „ბლუმბერგის“ ჟურნალისტის შეკითხვაზე: როგორ შეაფასებდა რუსეთ-საქართველოს შორის სამხედრო კონფლიქტს, გაეროს გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ ასე უპასუხა: **„ცხადია, საქართველოს შეიარაღებულმა ძალამ, შეიჭრა რა საერთაშორისო სამშვიდობო ძალების მიერ დაცულ „სამხრეთ ოსეთის ზონაში“, აგრესიის აქტი ჩაიდინა. ამრიგად, სრულიად ცხადია, საქართველოს ხელისუფლებამ გაეროს წესდება დაარღვია“.**

ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შლესერმა 6 ოქტომბერს პირდაპირ განაცხადა: „ძალიან ვუთანაგრძნობ ქართველ ხალხს, მაგრამ ცხადია, რომ ამ სიტუაციაში **სააკაშვილი დამნაშავეა.** მან თვითონ წამოიწყო სამხედრო კონფლიქტი! ეს ფაქტია!“

ომის წამოწყება ავტორიტარული და დიქტატორული რეჟიმების ტრადიციული და აპრობირებული ხრიკია, რათა ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით ხალხის და საზოგადოების ყურადღება საგარეო პრობლემებზე გადაიტანოს. მაგრამ, მე მგონი, კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს სახელმწიფოს მეთაური, რომელსაც ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით იმთავითვე თავისი ქვეყნის დამარცხებაზე და მეორე მეზობლის გამარჯვებაზე გათვლილი ომი განზრახ წამოეწყოს. **აქ უკვე აშკარად იკვეთება უმძიმესი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები...** ყველა ზემოაღნიშნულის გამო, სააკაშვილი და მისი გუნდი კარგად გრძნობს, რომ მას საბრალდებო სკამი არ ასცდება. ამიტომ, ეს გუნდი ყველაზე საშიში დღეს არის. ამიტომ, დღეს როგორც არასდროს, საჭიროა ჭეშმარიტი და არა შენიღბული თუ შეუნიღბავი ოპოზიციური პარტიების და არასამთავროებების გაერთიანება.

**— სააკაშვილმა განაცხადა, რომ მან რუსეთს ნიღაბი ჩამოხსნა.**

— ეს დამარცხების გასამართლებელი პიარია.

ჯერ ერთი, რუსეთს დიდი ხანია ნიღაბი ჩამოხსნილი აქვს. საბჭოთა ისტორიოგრაფიაც კი მეფის რუსეთს ევროპის ჯალათად მოიხსენიებდა, ხოლო ცივილიზებული კაცობრიობა საბჭოთა რუსეთს — ბოროტების იმპერიად. მეორეც, რუსეთისთვის ნიღაბის ჩამოხსნად ღირდა ამდენი საამაყო ახალგაზრდის მსხვერპლად გაწირვა?! **სისხლის სამართლის დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები აქაც აშკარად ისახება.** არადა, 7 აგვისტომდე 3 თვით ადრე გულმა მიგრძნო, რომ სააკაშვილი სამხედრო ავანტიურას გეგმავდა, და ამიტომ ტელეარხ „კავკასიიდან“ განვაცხადე: „ახალგაზრდა ქართველი მეომრის თმის ერთი ღერიც კი მენანება ამ ხელისუფლებისთვის“.



საერთოდ, გამოსაძიებელია, ვინ არიან ხელისუფლების მაღალ ეშელონებში და ოპოზიციაში ჩანერგილი სხვადასხვა უცხო ქვეყნის მსტოვრები? სულ ერთია, რომელი ქვეყნის, რადგან მსტოვარი მსტოვარია.

რუსეთისთვის ნიღბის ჩამოხსნის მაგივრად მივიღეთ ის, რომ: „ხელისუფლების მიერ დაწყებული ომი საქართველოს სრული კატასტროფით შემოუტრიალდა“ **(ამონარიდი** ბიზნესის ანალიტიკური ვებგვერდიდან).

**— გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სააკაშვილმა დაპირება მისცა მსოფლიოს, რომ საქართველოში დაიწყება დემოკრატიის ახალი ტალღა. რამდენად საიმედოა ასეთი დაპირება?**

— ვკითხულობ: სააკაშვილი რა, პროკურატურას სასამართლო ხელისუფლებაში დააბრუნებს? ანდა, იუსტიციის საბჭო და სასამართლო სისტემა მხოლოდ მიუკერძოებელი, სამართლიანი, დამოუკიდებელი, ბრძენი და ავტორიტეტული მოსამართლებით დაკომპლექტდება? საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მაუწყებელ ყველა კერძო ტელეარხს თავისი კონტროლიდან გამოიყვანს? აღადგენს ადგილებზე ხალხის თვითმმართველობას? მსხვილ ბიზნესს შეეშვება და განიავებულ და მითვისებულ მილიარდებს და უკანონოდ წართმეულ ქონებას მესაკუთრეებს და ხალხს დაუბრუნებს? და ასე შემდეგ? ეს გამორიცხულია. სააკაშვილის და მისი გუნდის წევრების ჰაბიტუსებთან წილნაყარი ფსიქოტიპი, ასეთი იმედის საფუძველს არ იძლევა. „მახინჯ სხეულში მახინჯი სულია“...

მე ვშიშობ, რომ სააკაშვილის ზემოაღნიშნული დემოკრატიული ნიღაბი საპირისპიროდ ნიშნავს იმას, რომ საქართველოში შეიძლება რეპრესიების ახალი ტალღა დაიწყოს, თანაც უფრო მძიმე ფორმებით, რადგან უახლოეს ხანში ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისია მოსალოდნელი. **ასე რომ, სააკაშვილის „გადემოკრატიულობა“, პირიქით, 30-იანი წლების რეანიმაციის მცდელობის ასპექტში უნდა მოვიაზროთ** (არადა, ამის შესახებ 2006 წლის 20 იანვრიდან ვაფრთხილებდი საზოგადოებას. იხ. გაზეთ „რეზონანსის — მთელი კვირა“ ფურცლებიდან წერილში „ფრთხილად, ქართველნო, ჩვენ 30-იან წლებში გვაბრუნებენ“).

**— ხელისუფლებამ, 2004 წლიდან მოყოლებული, აფხაზებთან, ოსებთან და რუსებთან დიალოგის ნაცვლად სამხედრო რიტორიკა აირჩია, და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ: თუ საერთოდ არ დავკარგეთ, ვკარგავთ, სოხუმს და ცხინვალს. იქნებ გამოსავალი აფხაზებთან, ოსებთან და რუსებთან ქართულ საზოგადოების დიალოგის აღდგენასა და გააქტიურებასთან არის დაკავშირებული?**

— შეკითხვაზე შეკითხვით გიპასუხებთ: აძლევს კი ხელს სააკაშვილს და მის გუნდს დიალოგი აფხაზებთან, ოსებთან და რუსებთან?

საქართველოს გადასარჩენად 2004 წლიდან ქართულ საზოგადოებას სურს დიალოგი აფხაზებთან, ოსებთან და რუსებთან, სააკაშვილს და მის გუნდს არ სურს დიალოგი აფხაზებთან, ოსებთან და რუსებთან საქართველოს გადასარჩენად. ვინ დარჩა მოგებული აფხაზებთან, ოსებთან და რუსებთან დაპირისპირებით? სააკაშვილი და მისი გუნდი! ვინ დარჩა წაგებული აფხაზებთან, ოსებთან და რუსებთან დაპირისპირებით? ქართული საზოგადოება! ეს ფაქტია, თანაც ძალზე საგანგაშო. არსებობს ეჭვი, რომ ეს ხელისუფლება შეფარულად საქართველოს ისტორიული მტრის გეოსტრატეგიულ ინტერესებს ასრულებს პატრიოტული რიტორიკის ფასადს ამოფარებული.

სააკაშვილი და მისი გუნდი მშვიდობიანი, არჩევნების გზით დროულად უნდა ჩამოვაშოროთ ხელისუფლებას, თუ არა და, მთლიანად საქართველოს დავკარგავთ!

**ამ თვალსაზრისით დამაიმედებლად ჟღერს სენატორ ბარაკ ობამას სიტყვები, რომელიც მან სექტემბერში პრეზიდენტობის კანდიდატ მაკქეინთან დებატებისას, თქვა: „საქართველოს ეყოლება ახალი პრეზიდენტი, რადგან სააკაშვილი პოლიტიკურად სუსტი ფიგურაა“.**

ესაუბრა
გიორგი გამახარია.

პირველად ქართულად

# ბარაკ ობამა

# „იმედის შემართება“

## რამდენიმე ამონარიდი იმ კაცის წიგნიდან, რომელსაც შეუძლია ამერიკისა და მთელი მსოფლიოს შეცვლა




კვირის ბოლოს აღარ მინდოდა მგზავრობა. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ შევიძინე ბევრი ახალი მეგობარი, აგრეთვე იმიტომაც, რომ ყველა ამ ქალსა და კაცში ვპოულობდი ჩემს საკუთარ თვისებებს. მათში ვამჩნევდი ბაბუის გულთბილობას, ბებიის პირდაპირობას, დედის სიკეთეს. შემწვარი ქათამი, კარტოფილის სალათი, ყურძნის მარცვლები „ჯელოს“ ჟელეში – ეს ყველაფერი ძალიან ნაცნობი იყო.

სწორედ ეს შეგრძნება, რომ მე ჩემს სახლში ვარ, ყველაზე მეტად მაოცებს ილინოისში მოგზაურობის დროს. ის არ მტოვებს, როცა ჩიკაგოს უესტსაიდში ვსადილობ. ის არ მტოვებს, როდესაც პილზენში ვხედავ ლათინურამერიკელებს, ფეხბურთს რომ თამაშობენ, და ოჯახებს, მათ რომ მხურვალედ გულშემატკივრობენ. ის არ მტოვებს, როდესაც ვზივარ ინდიელთა ქორწილში სადღაც ჩიკაგოს ჩრდილოეთ გარეუბანში.

და მესმის, რომ, საერთოდ, ვთქვათ, გარეგნობის გამოკლებით, ჩვენ სულ უფრო მეტად ვემგვანებით ერთმანეთს.

მეშინია, გადაჭარბებული არ გამომივიდეს და ამიტომ არ დავიწყებ აქ იმის მტკიცებას, რომ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები ცრუობენ და ჩვენს სხვაობას – რასობრივს, რეგიონულს, რელიგიურს ან ეკონომიკურს – სრულიად არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ილინოისში, ისევე როგორც ნებისმიერ შტატში, გააფთრებულ დავებს იწვევს აბორტის პრობლემა. შტატის ზოგიერთ ნაწილში აზრი იარაღის გაყიდვის კონტროლზე მკრეხელურად მოგეჩვენება. დამოკიდებულება აბსოლუტურად ყველაფრისადმი, საშემოსავლო გადასახადიდან დაწყებული სექსამდე ტელევიზით, ძალიან განსხვავდება რაიონიდან რაიონამდე.

ეს ადასტურებს, რომ ილინოისში, ისევე როგორც მთელ ამერიკაში, მიმდინარეობს განუწყვეტელი ორმხრივი დამტვერვა, რომელიც, შეიძლება, ყოველთვის არ იყოს მოწესრიგებული, მაგრამ არის სავსებით მშვიდობიანი შერწყმა ადამიანებისა და კულტურებისა. განსხვავება დასაწყისში გაქრება, შემდეგ კი გამოვლინდება როგორღაც ახლებურად. რწმენას ვერ დაიჭერ განჭვრეტელობის კაკანათით. ცრუმოლოდინი და მარტივი განმარტებანი ყოველთვის არ მართლდება. დაკარგეთ დრო ამერიკელებთან სერიოზული საუბრებისთვის და თქვენ გაიგებთ, რომ ამ მგზნებარე ორატორების უმეტესობა გაცილებით უფრო ტოლერანტულია, ვიდრე ამის შესახებ წერს პრესა, ხოლო ყველაზე თანამიმდევრულმა კლერიკალებმა შეიძლება გაგაოცონ თავიანთი სულიერებით. მდიდარ ადამიანთა უმრავლესობა გულწრფელად უსურვებს ღარიბებს წარმატებებს ცხოვრებაში, ღარიბთა უმეტესობა კი გაცილებით უფრო კრიტიკულად ეპყრობა თავის თავს და აქვს გაცილებით უფრო დიდი ამბიციები, ვიდრე ამას მოითხოვს ტრადიციული კულტურა. რესპუბლიკელების ბურჯების უმეტესობაში ორმოცი პროცენტი დემოკრატია და პირიქით. ლიბერალის ან კონსერვატორის პოლიტიკური იარლიყი ყოველთვის როდი ასახავს ადამიანის პიროვნულ ღირსებებს.

აქედან გამოდის შეკითხვა: რა ძირითადი ღირებულებები გვაქვს ყველა ჩვენგანს, ამერიკელებს? თანახმა ვარ, საკითხის ასეთი დასმა არაჩვეულებრივად ჟღერს; ჩვენი პოლიტიკური კულტურა აქცენტს აკეთებს სწორედ წინააღმდეგობაზე. მაგალითად, 2004 წლის არჩევნების დამთავრებისთანავე გამოქვეყნდა ზოგადეროვნული ეგზიტ-პოლის შედეგები, რომელთა თანახმადაც სწორედ „მორალურმა ღირებულებებმა“ იქონიეს ზეგავლენა ხმის მიმცემთა არჩევანზე. კომენტატორებმა ციფრებით ხელში დაადასტურეს, რომ იმ არჩევნების ყველაზე მწვავე საზოგადოებრივი პრობლემები, განსაკუთრებით ერთსქესიანთა ქორწინებანი, შეეხო შტატების უმრავლესობას. კონსერვატორებმა იმავე ციფრებით დაამტკიცეს, რომ სახეზეა ხელისუფლებაში სამართალდამცავი ტენდენციები.

როცა ამ გამოკითხვის შედეგები გააანალიზეს კიდევ ერთხელ, მოგვიანებით, აღმოჩნდა, რომ სწავლულმა მამებმა და წინასწარმეტყველებმა ცოტა გადააჭარბეს. სინამდვილეში არჩევნების დროს ამომრჩევლებმა ყველაზე სერიოზულ საკითხად დაასახელეს ეროვნული უშიშროების, და, თუმცა ბევრმა მათგანმა დაადასტურა, რომ „მორალურმა ღირებულებებმა“ იქონიეს გავლენა მათს არჩევანზე, თავად აზრი ამ ტერმინისა აღმოჩნდა იმდენად გაფანტული, რომ მას დაუქვემდებარეს ყველაფერი – აბორტებიც, თანამდებობრივი დანაშაულებანიც. ზოგიერთმა დემოკრატმა უმალვე ამოისუნთქა ხმამაღლა, შვებით, თითქოს ღირებულებათა ფაქტორის დაკლება ემსახურებოდა ლიბერალების საქმეს, ხოლო დისკუსიას ღირებულებებზე საჩიფათოდ გადაჰქონდა ყურადღება იმ სავსებით კონკრეტული ზრუნვისგან, რომელიც შეადგენდა დემოკრატიული პარტიის პლატფორმას.

ვფიქრობ, მისწრაფებაში თავი აარიდონ ღირებულებებზე საუბარს, დემოკრატები სწორი არ არიან, ისევე, როგორც, სხვათა შორის, ის კონსერვატორებიც, რომლებიც ღირებულებებში ხედავენ მხოლოდ საშუალებას გადმოიბირონ მუშათა გარემოდან დემოკრატების ხმები. მხოლოდ ღირებულებათა ენაზე საუბრობენ ადამიანები თავიანთი სამყაროს შესახებ. სწორედ ღირებულებანი აიძულებენ მათ იმოქმედონ და გამოჰყავთ იზოლაციიდან. საკითხები შეიძლება იყოს უხეიროდ ჩამოყალიბებული, მაგრამ საუბარი ზოგად ღირებულებებზე, ესე იგი სტანდარტებსა და პრინციპებზე, რომლებსაც ამერიკელები მიიჩნევენ განმსაზღვრელად, როგორც თავისი კერძო ცხოვრებისთვის, ისე ქვეყნის ცხოვრებისთვის, უნდა გახდეს ჩვენი პოლიტიკის სულისკვეთება, ქვაკუთხედი ბიუჯეტებისა და პროექტების, წესებისა და პროგრამების ნებისმიერი განხილვის დროს.

„ჩვენ გამოვდივართ იმ მორიგი ჭეშმარიტებიდან, რომ ყველა ხალხი შექმნილია თანასწორად და მათ შემოქმედისაგან მინიჭებული აქვთ გარკვეული განუყოფელი უფლებები, რომელთა რიცხვსაც განეკუთვნება სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლება“.

ეს მარტივი სიტყვები ჩვენთვის, ამერიკელებისთვის – ამოსავალი წერტილია; ისინი აღწერენ არა მხოლოდ ჩვენი ხელისუფლების სისტემის არსს, არამედ ჩვენი საერთო მსოფლმხედველობის შინაარსსაც. იქნებ, ყველა ამერიკელს არ შეეძლოს ამ სიტყვების ციტირება; ძნელად რომ ვინმემ გაიხსენოს, რომ დამოუკიდებლობის დეკლარაცია გახდა მეთვრამეტე ასწეულის ლიბერალური და რესპუბლიკური აზრის ნაყოფი. მაგრამ თავად დეკლარაციის იდეა ყველა ამერიკელისთვის გასაგებია – ჩვენ ყველა მოვდივართ ამ ქვეყნად თავისუფალი, თითოეულ ჩვენგანს აქვს უფლებები, რომლებიც არ შეიძლება ასე უბრალოდ ჩამოართვან ან ადამიანს, ან ქვეყანას და მხოლოდ საკუთარი ძალებით შეგვიძლია და უნდა შევძლოთ კიდეც შევქმნათ ჩვენი ცხოვრებიდან ის, რაც ჩვენ გვინდა. დეკლარაცია ყოველდღე გვხელმძღვანელობს ჩვენ, წარმართავს ჩვენს მოძრაობას, განსაზღვრავს მის კურსს.

მართლაც, პიროვნული თავისუფლების ღირებულება იმდენად დამკვიდრდა ჩვენს შეგნებაში, რომ შევეჩვიეთ მივიჩნიოთ იგი თავისთავად ცხადად. ახლა უკვე თითქმის აღარავის ახსოვს, რომ ჩვენი ერის ჩამოყალიბების დროს ეს იდეა ეჩვენებოდათ რადიკალურად, თითქმის ისეთივე რევოლუციური, როგორც თეზისები, რომლებიც მარტინ ლუთერ კინგმა მიაჭედა ეკლესიის კარებს. მას დღემდე როდი ღებულობს მთელი მსოფლიო, ხოლო კაცობრიობის მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ პოულობს მისთვის ვერანაირ დადასტურებას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

პირადად ჩემი მაღალი შეფასება „ბილისა უფლებების შესახებ“ ემყარება იმას, რომ ბავშვობის ნაწილი გავატარე ინდონეზიაში, კენიაში მყავს ნათესავები, ამ ქვეყნებში კი პიროვნების თავისუფლება ძირითადად დადის თავდაჭერილობამდე, თავშეკავებულობამდე, არმიის გენერალს რომ შეეფერება, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ მოიგოს ბრძოლა კორუმპირებულ ბიუროკრატიასთან. მახსენდება, ქორწინებიდან მალე როგორ წავიყვანე პირველად მიშელი კენიაში. თავად აფროამერიკელი მიშელი სასიხარულო მღელვარებით ელოდებოდა შეხვედრას თავისი წინაპრების მიწასთან და ჩვენ ბრწყინვალედ გავატარეთ დრო, მოვინახულეთ ჩემი ბებია მის სოფელში, ვიხეტიალეთ ნაიორობის ქუჩებში, დავისვენეთ სერენგეტში, ვითევზავეთ ლამუს კუნძულზე.

მაგრამ მოგზაურობის დროს მიშელმა ხშირად მოისმინა – როგორც, სხვათა შორის, მეც, აფრიკაში პირველად რომ ვიყავი – ბევრი კენიელის წუხილი: რა საშინელებაა, როცა შენი სიცოცხლე სულაც არაა შენს ხელთ. ჩემი ბიძაშვილები უყვებოდნენ მას, რომ უქრთამოდ შეუძლებელია სამუშაოს შოვნა, ან რაიმე საქმის დაწყება. პოლიტიკური მოღვაწეები ამბობდნენ, რომ მთავრობის პოლიტიკასთან უთანხმოების გამოხატვის გამო სულ უბრალოდ შეიძლება მოხვდე ციხეში. ჩვენს ოჯახშიც კი მიშელმა შენიშნა ოჯახური კავშირებისა და ტომთაშორისი ტანჯვის მთელი სიმძიმე, როცა ვიღაც გაურკვეველი შორეული ნათესავები მუდმივად რაღაცას ღრიჭინებენ, ბიძიები და მამიდები კი ვერც გაიგებ საიდან გესტუმრებიან მოულოდნელად. მხოლოდ უკანა გზაზე ჩიკაგოში მიშელმა აღიარა ჩემთან, თუ როგორ უხარია, რომ, ბოლოს და ბოლოს, ვბრუნდებით სახლში. „ვერც კი წარმომედგინა, რომ ასეთი ამერიკელი ვიყავი“, – მითხრა მან მაშინ. მას ვერ წარმოედგინა, თუ რამდენად თავისუფალი იყო და თუ როგორ აფასებს ამ თავისუფლებას.

ყველაზე პრიმიტიულ დონეზე ჩვენს თავისუფლებას ჩვენ ვგებულობთ როგორც უარყოფის თავისუფლებას. ჩვენ ხშირად გვწამს, რომ გვაქვს უფლება იმაზე, რომ დაგვანებონ თავი, და დიდი ეჭვით ვუყურებთ ყველაფერს, იქნება ეს „დიდი ძმა“ თუ ხმაურიანი მეზობელი, ვისაც ჩვენ საქმეში ჩარევა უნდა. მაგრამ თავისუფლების ჩვენს გაგებაში არის დამადასტურებელი მხარეც, კერძოდ კი შესაძლებლობისა და რომელიღაც მეურეული ღირებულებების იდეა, ესე იგი ყველა მარტივი ღირებულებებისა, რის შესახებაც ლაპარაკობდა ჯერ კიდევ ბენჯამინ ფრანკლინი თავის „თეთრი რიჩარდის ალმანახში“ და რაც ასე ერთგულად გვემსახურება აი უკვე მერამდენე ასეული წელია. ესაა რწმენა საკუთარ ძალებში, სრულყოფა, რისკისთვის მზადყოფნა. ესაა ენერგია, დისციპლინა, ზომიერება და შრომისმოყვარეობა. ესაა მომჭირნეობა და პირადი პასუხისმგებლობა.

ყველა ეს ღირებულება ლოგიკურად გამომდინარეობს ოპტიმისტური შეხედულებიდან სიცოცხლეზე და ნების თავისუფლების რწმენა – მრწამსი, რომ ცხოვრების ყველა დაბრკოლების გავლით, პირდაპირ სისხლით და ოფლით, თითოეულ ჩვენგანს შეუძლია ამაღლდეს თავისი დაბადების გარემოებებზე. და ეს ღირებულებანი გამოხატავენ უფრო ზოგად აზრს: სანამ თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფლება დაიცვას საკუთარი ინტერესები, საზოგადოება, როგორც მთლიანი, აყვავდება. ჩვენი თვითმართვის სისტემა და თავისუფალი ბაზრის ეკონომიკა დამოკიდებულია ცალკე აღებულ თითოეულ ამერიკელზე, ვინც იცავს ამ ღირებულებებს. ჩვენი ხელისუფლების ლეგიტიმურობა და ჩვენი ეკონომიკა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ პატივს სცემენ ამ ღირებულებებს; აი რატომ არის, რომ თანაბარი შესაძლებლობანი და არადისკრიმინაცია უფრო მეტად ავსებენ ჩვენს თავისუფლებას, ვიდრე თავს ესხმიან მას.

დაე, ჩვენ, ამერიკელები, ვიყოთ გულში ინდივიდუალისტები, დაე, ჩვენ ინსტინქტურად ვიბრძოდეთ წარსულის ისეთ მემკვიდრეობას, როგორიცაა ერთგულება ჩვენი ტომის კანონებისადმი, ტრადიციებისადმი, წეს-ჩვეულებებისადმი, ამა თუ იმ კასტისადმი მიკედლებას, – იქნებოდა უდიდესი შეცდომა მივიჩნიოთ, რომ ამით შემოიფარგლება ჩვენი არსი. ჩვენი ინდივიდუალიზმი ოდითგანვეა შეზღუდული საზოგადოებრივი ღირებულებებით, იმ წებოთი, რომელიც კრავს ნებისმიერ ჯანსაღ საზოგადოებას. ჩვენ პატივს ვცემთ ოჯახური ცხოვრების შეზღუდვებს და ვალდებულებებს სხვადასხვა თაობებისადმი, რომელიც იგულისხმება ნებისმიერ ოჯახში. ჩვენ პატივს ვცემთ მეზობლობის იმ საერთო გრძნობას, რომელიც გვინერგავს სურვილს ერთად ავაშენოთ რომელიღაც ფარდული ან გავწვრთნათ ფეხბურთის გუნდი. ჩვენ პატივს ვცემთ პატრიოტიზმს და მოქალაქის ვალდებულებებს, მოვალეობის გრძნობას და თავგანწირვას სამშობლოს სახელით. ჩვენ პატივს ვცემთ რწმენას რაიმე უფრო დიდისადმი, ვიდრე ჩვენ ვართ, იქნება ეს მსოფლიო რელიგია თუ ეთნიკური პრინციპები. ჩვენ კიდევ ვაფასებთ იმ ღირსებებს, რომლებშიც გამოხატულია ჩვენი პატივისცემა ერთიმეორის მიმართ: პატიოსნებას, სამართლიანობას, თავშეკავებულობას, სიკეთეს, სხვისი ჭირის გაზიარებას, თანაგრძნობას.

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 218, 220.**

კანონპროექტი

# მცირე ბიზნესის განვითარება ქვეყანას გაჭირვებიდან ამოიყვანს

*დღეს სასტუმრო „ამბასადორში“ შეკრებილი ქვეყნის მცირე მეწარმეები და არასამთავრობო ორგანიზაციები, ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად, საჯაროდ განიხილავენ კანონპროექტს „მცირე ბიზნესის შესახებ“, რომლის მუშა ვარიანტი არასამთავრობო ორგანიზაცია „სოლიდარობამ“ შეიმუშავა. როგორც იტყვიან, ნავსი გატყდა, მცირე მეწარმეობა, რომელიც წლების მანძილზე ხელისუფლების უგუნურმა პოლიტიკამ თითქმის მიწასთან გაასწორა, ახლა ხელმეორედ დაბადებას ლამობს. კანონი, რომლის მიღების რეალური შანსი გაჩნდა, მიზნად ისახავს ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის პრინციპების დაცვით, ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, გაზრდის მცირე მეწარმეთა საექსპორტო პოტენციალს, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს შექმნილი პროდუქციისა და მომსახურების ხარისხს.*

*ახალ კანონპროექტთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვით მივმართეთ მცირე მეწარმეობის დარგში ცნობილ ექსპერტს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს* ***თამაზ ვაშაკიძეს.***

**— ბატონო თამაზ, როგორც მახსოვს, ჟურნალში „ბიზნესი და კანონმდებლობა“ ადრევე გამოქვეყნდა მცირე მეწარმეობასთან მიმართებაში თქვენეული პოზიცია და კონცეფცია. ახალი კანონპროექტის ავტორებმა ეს ყველაფერი თუ გაითვალისწინეს?**

— კანონპროექტის საერთო პათოსი რადიკალურად არც ერთ მუხლში არ ეწინააღმდეგება აღნიშნულ კონცეფციას. თუმცა ცალკეულ საკითხებში შეინიშნება აზრთა სხვაობა, რასაც ერთობლივი მუშაობისას დავარეგულირებთ. რა თქმა უნდა, კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, მრავალი შესწორება და დამატება იქნება შესატანი სხვა კანონებში. კერძოდ, საგადასახადო კოდექსში, კანონებში „მეწარმეთა შესახებ“, „ბიუჯეტის შესახებ“ და ა. შ., რასაც საკმაოდ დიდი მუშაობა და დრო დასჭირდება.

აზრთა სხვაობას იწვევს მცირე ბიზნესის ფუძემდებლური კრიტერიუმებიც, რომელთა მიხედვით დღეს საერთოდ არარსებული სახელმწიფო პრეფერენციები უნდა განისაზღვროს. ჩემი ღრმა რწმენით, თუ ქვეყანას სურს ევროკავშირში გაერთიანება, იქ მოქმედი საქართველოს რეალობასთან ადაპტირებული მიკრო და მცირე ბიზნესის განმსაზღვრელი კრიტერიუმები უნდა გადმოვიღოთ.

**— საინტერესოა, ყოველივე ამის შესახებ, როგორია ხელისუფლების პოზიცია?**

— ორი-სამი წლის წინათ რომ დაგესვათ ეს შეკითხვა, ალბათ დუმილს ვამჯობინებდი, იმდენად აბსურდული იყო მცირე მეწარმეობასთან დაკავშირებით ხელისუფლების პოზიცია. დღეს ძალზე ბევრი დეტალი და ნიუანსი მიგვანიშნებს იმაზე, რომ კანონპროექტს აპრობირების შემდეგ აქვს ობიექტურად განხილვის შანსი, რაც უკვე დიდი გამარჯვებაა.

**— არსებობს აზრი, რომ ქვეყნის მშპ-ში ბიზნესის წილი საკმაოდ მცირეა. აქედან გამომდინარე, ღირს კი მცირე მეწარმეობაზე ამდენი გაწამაწია?**

— სხვადასხვა მონაცემებით, ლეგალური მცირე ბიზნესის წილი საქართველოს მშპ-ში 8-14 პროცენტია. ევროკავშირის კრიტერიუმებით მუშაობა ამ ციფრებს მინიმუმ გააორმაგებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მთელ მსოფლიოში მცირე მეწარმეობას სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია ეკისრება და თუ ის ფისკალურ ფუნქციასაც იტვირთავს, ეს ძალზე დახვეწილ და გონიერ საგადასახადო პოლიტიკაზე იქნება დამოკიდებული. მთავარია წარმოდგენილი კანონპროექტის პრეამბულაში ან განმარტებით ბარათში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს, რა შედეგს უნდა ველოდეთ კანონის ამოქმედებისაგან. თუმცა ჩვენთან დღეს ისიც არავინ იცის, სინამდვილეში რამდენი მცირე საწარმო ფუნქციონირებს, როგორ გამოიყურებიან ისინი მუშაკთა რაოდენობის ან გამოშვებული პროდუქციის მიხედვით. არსებობს ძალზე საეჭვო სტატისტიკა, თითქოს ქვეყანაში რეგისტრირებულია 82 ათასი მცირე საწარმო, რომელთაგან საგადასახადოსთან ურთიერთობა მხოლოდ 36 ათასს აქვს.



**— ბატონო თამაზ, კანონპროექტში ნახსენებია „მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია“. ეს აშშ-ში არსებულ ანალოგიურ ორგანოზე ხომ არ მიგვანიშნებს.**

— დიახ ასეა. ჯერ კიდევ 1999 წელს მიღებული კანონი იყენებდა ამერიკულ პრაქტიკას. ამიტომაც მაშინ კანონის დონეზე ჩამოყალიბდა „მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის ცენტრი“, რომელიც 2006 წელს კანონთან ერთად გაუქმდა.

დღეს აშშ-ში 1 მილიონზე მეტი მცირე საწარმოა (მათი კრიტერიუმებით), ხოლო მცირე მეწარმეობის ადმინისტრაციის წლიური ბიუჯეტი 18 მილიარდი დოლარია. თუ საქართველოში 36 ათასი საწარმო ფუნქციონირებს, ამერიკული პრაქტიკის პროპორციულად, ჩვენში მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის წლიური დაფინანსება 600 მილიონ დოლარზე მეტი უნდა იყოს. ამასთან, აშშ-ში მცირე მეწარმეობის კანონმდებლობის ჰარმონიზაციისათვის ყოველწლიურად 600 მილიონი დოლარი იხარჯება, რასაც ჩვენ სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენთ. უფრო მეტიც, ჩვენ დღეს დანამდვილებით ისიც კი არ ვიცით, იქნება თუ არა მცირე ბიზნესის მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან საერთოდ დაფინანსებული.

**— აქვე მინდა გკითხოთ: როგორი კანონი უფრო მისაღებია ჩვენთვის, კონკრეტული თუ ეგრეთ წოდებული ჩარჩო-კანონი?**

— კანონი რაც უფრო დიდხანს მოქმედებს, მით უფრო უკეთესია.

გლობუსი

# ნატოს მატარებელმა

**ნატოს მინისტერიალმა სწრაფად და შეუჩერებლად ჩაუქროლა სადგურ საქართველოს და ბაქანზე მდგარი ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლები პირში ჩალაგამოვლებულები დატოვა. არ გამართლდა მათი ვარაუდი — სწორედ კრიტიკულ ვითარებაში პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. ნატომ თავი აარიდა რისკს, რაც ორგანიზაციაში საქართველოს მისაღები მაღალი ეტაპის მინიჭებაში გამოიხატებოდა. 8 აგვისტოს მოვლენების შემდეგ მხოლოდ ოფიციალურ თბილისს შეეძლო ჰქონოდა ოპტიმისტური მოსაზრებები, მაგრამ ეს საკმარისი არ გამოდგა. საქართველოს ხელისუფალთა ოპტიმიზმს, ნატოს წევრი სახელმწიფოების პესიმიზმი დაუპირისპირდა და თბილისის ავტობუსებზე დიდი ასოებით მიკრული წარწერა — შემდეგი გაჩერება ნატო, კარგა ხნით გადასწია.**



2-3 დეკემბრამდე კი ერთი აჟიოტაჟი იყო ატეხილი. საქართველოს ტელეარხებზე ჟურნალისტები და ექსპერტები სულმოუთქმელად ასაბუთებდნენ, თუ რატომ უნდა მიეცათ საქართველოსთვის მაპი და რომ დადებით გადაწყვეტილებას წინ არაფერი დაუდგებოდა, თუმცა მინისტერიალამდე ერთი კვირით ადრე ტელეკომპანია „იმედმა“ რიხიანად განაცხადა, რომ მაპის მიღება საჭირო სულაც არ არის, მომავალი წლის გაზაფხულზე პირდაპირ შეგვიყვანენ ნატოშიო. საბუთად აშშ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენელთა გამონათქვამებიც მოიშველიეს, რომ აშშ-ს ადმინისტრაცია მომხრეა საქართველო-უკრაინის ნატოში მაპის მინიჭების გარეშე გაწევრების. **უკრაინაში აშშ-ს ელჩმა უ. ტეილირმა ისიც აღნიშნა, რომ პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი ყოველგვარი მაპის გარეშე ჩაირიცხნენ ნატოში და მსგავსს შეიძლება ჰქონდეს ადგილი საქართველო-უკრაინასთან მიმართებაში, თუ ისინი დააკმაყოფილებენ კრიტერიუმებსო. საქმეც კრიტერიუმებშია. ბრიუსელის დოკუმენტების მიხედვით საქართველოს საშინაო დავალება არ აქვს შესრულებული და ალბათ ვერც შეასრულებს. თუ რა დავალებებზეა საუბარი, არაერთხელ ითქვა და დაიწერა. ვიტყვი მხოლოდ მთავარს — ეკონომიკურ ჩამორჩენილობას, ადამიანის უფლებათა შელახვას, სასამართლო სისტემის გაუმართაობას, მეზობელთან მძიმე ურთიერთობას, მოუწესრიგებელ ტერიტორიულ პრობლემებს.**

საქართველოს ხელისუფალთა სამწუხაროდ ვერც ბუშის ადმინისტრაციამ დაიყოლია ნატოელი პარტნიორები მხარი დაეჭირათ საქართველო-უკრაინისთვის. „კოჭლი იხვის“ პოზიციაში მყოფი ბუშის ადმინისტრაციის წინადადებისათვის ევროპელთა მხრიდან მხარის დაჭერა აბსტრაქცია უფრო იყო, ვიდრე რეალობა. **ერთი თვის შემდეგ ბუშის ადმინისტრაცია ისტორიას ჩაბარდება და მასთან ერთად ამერიკის მაღალჩინოსანთა „ძმური“ ურთიერთობა ქართულ პოლიტიკასთან.** მთელი მსოფლიო მოელის ახალი პრეზიდენტის ბარაკ ობამასაგან ახალ აზროვნებას, ახალ პოლიტიკას, ახალ მიდგომებს არა მარტო ეკონომიკისადმი, არამედ საგარეო პოლიტიკისადმი. ამ ჭრილში კავკასიის, მათ შორის საქართველოს პრობლემებიც მოიაზრება. **ვერ გავიზიარებ ზოგიერთთა მოსაზრებას, რომ ამ მიმართულებით მხოლოდ კოსმეტიკური ცვლილებები იქნება. არჩეული პრეზიდენტისა და მისი გუნდის აქტიურობიდან გამომდინარე, სერიოზულ გარდაქმნებს უნდა ველოდოთ.**

ძნელია იმაში ეჭვის შეტანა, რომ ამერიკა შეანელებს საკუთარი ინტერესებთან გამომდინარე მოქმედებებს. ისიც ძნელი დასაჯერებელია, რომ ობამას ირგვლივ შემოკრებილი პირები, რომლებიც კარგა ხანია პოლიტიკაში არიან და საკუთარი მოსაზრებებიც გააჩნიათ, როგორც რუსეთთან, ისე საქართველოსთან მიმართებაში, გავლენით არ იმოქმედებენ პრეზიდენტზე, მაგრამ გადაწყვეტილებას პრეზიდენტი იღებს. მისი მოსაზრებები განსხვავებულია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამერიკელი ელექტორატი, არა ისე, როგორც ქართული, თავის მტკიცე სიტყვას იტყვის 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე. **ნაკლებად დასაჯერებელია, რომ პოლიტიკისათვის ახალგაზრდა (47 წლის) ობამა არ ფიქრობდეს მომავალ არჩევნებში გამარჯვებაზე. ისიც ძნელად დასაჯერებელია, რომ პოლიტიკური ასაკის დასაწყისში (51) მან უარი თქვას მეორე არჩევნებში მონაწილეობაზე და პენსიაში მყოფ ამერიკის პრეზიდენტებს გვერდში ამოუდგეს. ნაკლებად დასაჯერებელია, რომ ობამას ადმინისტრაციამ არათუ ბუშის ადმინისტრაციის, არამედ სხვა პრეზიდენტების შეცდომები მხედველობაში არ მიიღოს ხალხის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.** აღნიშნულის იმედს იძლევა ობამას ბოლო პრესკონფერენცია, რომელზეც მან უპასუხა უკვე უკმაყოფილო ამომრჩევლის კითხვას — რატომ ნიშნავს მაღალ თანამდებობებზე ძველ პოლიტიკოსებს. ამომრჩეველი მიიჩნევს, რომ ძველით გარდაქმნის განხორციელება გაჭირდება. ობამას პასუხი იყო შემდეგი, რომ მას არჩევნებში ამომრჩევლის 53 პროცენტმა დაუჭირა მხარი, მაკეინს — 47 პროცენტმა, სწორედ აქედან გამომდინარე, მან უნდა გაითვალისწინოს რეალობა და შექმნას ისეთი ადმინისტრაცია, რომელიც გამოცდილი, დაღვინებული პროფესიონალებისა და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა ერთობლივი ნაკრები იქნება.

**საქართველოსთვის ბუშის ადმინისტრაციის „მოღვაწეობას“ სააკაშვილის ხელისუფლებაზე ნაკლები ნეგატივი არ მოუტანია, თუ არა მეტი. რომ არა წარმავალი ადმინისტრაციის მოჭარბებული „მიშისტობა“, შესაძლოა გაცილებით უკეთესი ვითარება ყოფილიყო საქართველოში. დაუმსახურებელმა მხარდაჭერამ ჩაათვლევინა საქართველოს ხელისუფლებას, რომ რუსეთი არაფერია. მას არავითარი ძალა არ გააჩნია და „დაჟანგული“ ტანკებით (ოქრუაშვილის ტერმინი) ის საქართველოს ომს ვერ მოუგებს. არც ბებერი ევროპაა ანგარიშგასაწევი, ვინაიდან ის იმას მოიმოქმედებს, რასაც ოკეანისგაღმიდან უკარნახებენ. ევროპა წინ ვერ აღუდგება ვაშინგტონის მოთხოვნას და საქართველოს უყოყმანოდ გააწევრებენ ნატოში. ბუშის ადმინისტრაციის ორმაგმა სტანდარტებმა რუსეთთან მიმართებაში წაახალისა სააკაშვილი და მისი გუნდი რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედებაში, პირდაპირ თუ გადატანითი მნიშვნელობით მწვანე შუქი აუნთო 8 აგვისტოს. ბრიტანეთის ყოფილი საგარეო მინისტრის ოუენის მიხედვით აშშ-ს გარკვეული წრეები აქეზებდნენ სააკაშვილს ომისკენ.**

საქართველოს ნატოსკენ სწრაფვა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ორი წლის შემდეგ დაიწყო და ძირითადად განპირობებული იყო ცივი ომის შემდგომი პერიოდისათვის დამახასიათებელი ამერიკული პოლიტიკით. მკითხველს კარგად ემახსოვრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და ქვეყნის

აქედან გამომდინარე, ჩარჩო-კანონის უპირატესობა აშკარაა. სიტყვაზე, ხელისუფლების შეცვლამ თუ სტრუქტურის დაშლა გამოიწვია, კანონზე ეს ფაქტი გავლენას არ იქონიებს. ასე რომ, სამართლებრივ სფეროში ჩარჩო-კანონი უფრო მოქნილია. კანონპროექტში შეტანილია ახალი ცნება — „მიკრო საწარმო“, რომლის კერძო მაგალითად შეიძლება დასახელდეს „საოჯახო ბიზნესი“, რომლისათვის, შესაძლოა, შემოღებულ იქნას გადასახადების შეღავათიანი რეჟიმი, როგორც ეს ბევრ ქვეყანაშია მიღებული.

მოგეხსენებათ, მცირე მეწარმეობა უამრავ დარგს და მიმართულებას მოიცავს — სავაჭრო ჯიხურიდან ინოვაციების დამნერგავ საწარმომდე. შესაბამისად პრეფერენციებშიც დიდი სხვაობა იქნება, რისი ცალ-ცალკე გაწევის საშუალებასაც ჩარჩო-კანონი იძლევა.

**— ამჟამინდელ საგადასახადო კოდექსში მცირე მეწარმეობა ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები? ამას რით ახსნიდით?**

— რა თქმა უნდა, ხელისუფლების უგერგილობითა და უგულისყურობით. პირველი საგადასახადო კოდექსი ამოქმედდა 1996 წლის 14 სექტემბერს და საქართველოს ლეგალური მცირე მეწარმეობის განვითარებაც სწორედ აქედან დაიწყო. ის კოდექსი გადასახადების პროცენტებთან ერთად ბრმად გადმოიღეს რუსული კოდექსიდან, და ისევე როგორც იქ, მცირე ბიზნესი აქაც დაავიწყდათ. თუ სახელმწიფო გადაწყვეტს მიკრო და მცირე მეწარმეობისთვის რაიმე პრეფერენციების შემოღებას, საგადასახადო კოდექსში უამრავი დამატება უნდა შევიდეს. ეს არის დიდი სამუშაო, რომელსაც, თუ მართლაც გვინდა ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესება, ხელი აუცილებლად უნდა მოვკიდოთ.

**— ბატონო თამაზ, თუ ეღირსა და „მცირე ბიზნესის შესახებ“ კანონპროექტი საქართველოში კანონად იქცა, რა სარგებლობას მოუტანს ის ქვეყანას?**

— ძალიან დიდ სარგებლობას მოუტანს. მცირე ბიზნესის განვითარების კანონი იქნება ის „რეცეპტი“, რომელიც ქვეყანას მძიმე ეკონომიკური და სოციალური გასაჭირიდან ამოიყვანს. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ყოველ თავის გამოსვლაში გვახსენებს, რომ ხელისუფლების მთავარი ორიენტირი დღეს ხალხის მასობრივი დასაქმებაა. ჰოდა, თუ ამის განხორციელების სურვილი მთავრობას ნამდვილად აქვს, ამ კანონის ცხოვრებაში დამკვიდრებაზე უკეთესს რას მოიმოქმედებს. ქვეყანაში შეიქმნება ჩვენთვის ესოდენ ნანატრი საშუალო ფენა, რომელიც საკუთარ თავსაც შეინახავს და ბიუჯეტსაც უხვი შემოსავლებით გაამდიდრებს. რაც მთავარია, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, გაიზრდება მცირე მეწარმეთა საექსპორტო პოტენციალი, ამაღლდება მათი კონკურენტუნარიანობა, არსებითად გაუმჯობესდება მათ მიერ წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ხარისხი. რა თქმა უნდა, ამის გაკეთება იოლი არ გახლავთ, მაგრამ უტოპია ნამდვილად არ არის.

**ესაუბრა**
**ოთარ ხუციშვილი**

◎ კავშირგაბმულობა

# სიახლე ზამთრისპირზე

**ნებისმიერი კომპანია მეტი მოგების, მეტი დივიდენდის მიღებას ცდილობს, ოღონდ საამისოდ ზოგი დინჯად ირჯება, ზოგი ხელის განძრევას თაკილობს, ზოგიც დღენიადაგ ზრუნავს საკუთარი ბიზნესის გაუმჯობესებაზე.**

მომხმარებელზე ზრუნვისა და საკუთარი მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვის კარგი მაგალითი აჩვენა ახლახან სს „გაერთიანებულმა ტელეკომმა“. ნოემბრის მიწურულს კომპანიამ დაბა წყნეთში ინფრასრუქტურის განახლების პროცესი დაასრულა, რაც მოძველებული სატელეფონო სადგურის ახალი ტიპის ციფრული სატელეფონო სადგურით შეცვლაში მდგომარეობს. ამასთან უნდა ითქვას, რომ „ტელეკომმა“ ასევე იზრუნა იმაზე, რომ განახლების პროცესს აბონენტთათვის დისკომფორტი არ შეექმნა და სამუშაოთა ჩატარების დროს მათ გადაუდებელი ზარების ალტერნატიული კავშირით გაშვების პირობები შეუქმნა.

სიახლის დანერგვის შედეგად, მომხმარებელს 25-ზე მეტი სახეობის ახალი მომსახურების მიღების საშუალება ექნება, მათ შორის დამრეკის ნომრის ამოცნობა, რამდენიმე აბონენტთან კონფერენციის მოწყობა, ზარის გადამისამართება და სხვ.

უნდა ითქვას, რომ ინფრასტრუქტურის განახლების გეგმა „გაერთიანებული ტელეკომის“ სპეციალისტებმა საგანგებოდ და ერთობ გულდასმით შეიმუშავეს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ტელეფონით სარგებლობის შეფერხება აბონენტებისთვის მაქსიმუმ სამ დღეზე მეტ ხანს არ გაგრძელებულა, რისთვისაც უკაბელო ტელეფონებით (CDHA ტექნოლოგიით) უფასოდ დარეკვით საშუალება ჰქონდათ, რომლითაც მმართველ და ოპერატიულ სამსახურებს, სასწრაფო დახმარებასა და ა.შ. უკავშირდებოდნენ. უკაბელო სატელეფონო კავშირით ორი კვირის მანძილზე უზრუნველყოფილი იყო როგორც საცხოვრებელი ბინები, ასევე ადგილობრივი მმართველობის ოფისები, პოლიციის უბნები, საავადმყოფოები და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტები.

„გაერთიანებული ტელეკომის“ დირექტორის მოადგილის ივა მარტიაშვილის განცხადებით, მომხმარებელთათვის მიწოდებული მომსახურების სპექტრი და ხარისხი ტექნოლოგიურად მაღალი დონისაა.

კომპანიის დაარსების დღიდან ჩვენი მიზანია ინფრასტრუქტურის უწყვეტი განახლება და ინოვაციური გზების ძიება, რაც საშუალებას გვაძლევს მომხმარებელს მრავალფეროვანი მაღალი ხარისხის სერვისი შევთავაზოთ, — აღნიშნა მან. — ამჟამად კომპანიაში დასაქმებულია 3500-ზე მეტი კაცი, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით 400 ათას აბონენტს ემსახურება.

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ ინფორმაცია

## სამშენებლო ბიზნესს შეგნებულად ანგრევენ

**— სამშენებლო ბიზნესს შესაძლოა შეგნებულად ანგრევენ, რათა შემდეგ ამ სფეროს მონოპოლიზება მოახდინონ, — განაცხადა საპარლამენტო ოპოზიციის წევრმა, პარტია „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ. სამშენებლო ბიზნესში არსებული პრობლემების თემა ბაღათურიამ ჯერ კიდევ ორი დღის წინათ პარლამენტის სესიაზე გააჟღერა. გუშინ კი, ამ თემას საგანგებო ბრიფინგი მიუძღვნა.**

**ბაღათურიას თქმით, იანვრიდან სამშენებლო სფეროში დასაქმებულთაგან 150 ათასი ადამიანი დაუსაქმებელი დარჩება, ხოლო 20-25 ათას მეანაბრეს, რომელთაც ბინის ასაშენებლად თანხები უკვე შეიტანეს, პრობლემები შეექმნებათ.**

**ბაღათურიას თქმით, ეს ყველაფერი მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისთან და აგვისტოს მოვლენებთან ერთად, პირველ რიგში, ეროვნული ბანკის არაკვალიფიციური გადაწყვეტილებებით არის განპირობებული.**

**როგორც ჯონდი ბაღათურია აცხადებს, ეროვნულმა ბანკმა გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად იგი კომერციულ ბანკებს დეველოპერებისთვის კრედიტების გაცემას მხოლოდ მიმდინარე ლიმიტის ფარგლებში ურჩევს. ეს ლიმიტი კი, ამოწურულია და, თუ კომერციული ბანკები მშენებლობის სფეროში არ გასცემენ კრედიტებს, ამ სფეროში სერიოზული კრიზისი შეიქმნება.**

ჯი-ეიჩ-ენი

## რას გვიქადის სათამაშო კლუბების დახურვა?

**საპარლამენტო უმრავლესობაში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ზრდის შედეგად უმუშევრობის საფრთხეზე საუბრობენ.**

**სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთების ზრდის შესახებ კანონპროექტი პარლამენტში უკვე შესულია და არგუმენტად აზარტული თამაშებისგან მომავალი თაობების დაცვა სახელდება.**

**თუმცა, საპარლამენტო კულუარებში ამბობენ, რომ მომავალი თაობების დაცვის ნაცვლად, ეს კანონპროექტი წვრილი სათამაშო კლუბების დახურვას გამოიწვევს, რაც, შესაბამისად, უმუშევრობასთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებულ რთულ ვითარებას უფრო გააუარესებს.**

**უმრავლესობაში ამბობენ, რომ წვრილი კლუბების დახურვა, იმავდროულად, იმ ოჯახების ბიუჯეტზეც აისახება ნეგატიურად, რომელთაც მათზე ფართები აქვთ მიქირავებული.**

**ამას გარდა, სახელდება კანონპროექტის კიდევ ერთი ნეგატიური მხარე. კერძოდ, „სლოტ კლუბებში“ სათამაშო მანქანები დაპროგრამებულია მოგების გარკვეულ პროცენტზე. გადასახადების გაზრდის შემდეგ, მფლობელები იძულებულნი იქნებიან, აპარატებს მოგების პროცენტი გაუზარდონ, რაც მოთამაშეებისთვის უფრო მეტი თანხის წაგებას ნიშნავს.**

**სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთების ზრდა მთავრობის ინიციტივაა.**

ინტერპრესნიუსი

◎ გლობუსი

# ჩაგვიქროლა



ლიდერის მიხეილ გორბაჩოვის მიერ დაწყებული „გლასნოსტი“ და „პერესტროიკა“, რომელმაც ბოლო მოუღო როგორც საბჭოთა კავშირს, ისე „ცივ ომს“, თუმცა ამით არ შეჩერებულა აშშ-ს ადმინისტრაციის შორს მიმავალი ამბიციური გეგმები. ორ გიგანტს შორის დაპირისპირების საგანი არ ყოფილა მარტო იდეოლოგია, სამხედრო ბალანსი იყო და არის ის ერთ-ერთი ძირითადი საგანი, რაც იწვევდა და იწვევს დაპირისპირებას. დაძაბუნებული საბჭოეთის მემკვიდრე რუსეთთან დამოკიდებულებაში აშშ-ს არც ერთ ადმინისტრაციას (ბუშის, კლინტონის, უმცროსი ბუშის) აზრადაც არ ჰქონია ნამდვილი ბალანსის შექმნა. მათი მიზანი იყო პრიორიტეტულობის მოპოვება. აშშ-ის სამხედრო მანქანასთან არც ერთი სხვა ქვეყნის შეიარაღებული ძალები არ უნდა ყოფილიყო გათანაბრებული. ამ შემთხვევაში გარდა სამხედრო ტექნიკისა, სამხედრო გავლენის სფეროებიც იყო ნაგულისხმევი. ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებაც კონცეფციის მთავარი შემადგენელი იყო, მიუხედავად რუსეთის პრეზიდენტისთვის დაპირებისა, რომ ეს არ მოხდებოდა. ელცინის გალიზიანება „დიდ შვიდიანში“ მერვე წევრად შეყვანით გადაიფარა, თუმცა ამით საკითხი საბოლოოდ არ ამოწურულა. რუსეთი მიიჩნევდა, რომ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებაში „დიდი შვიდეულის“ სამადლო წევრობა არათანაბარი გაცვლაა.

ალმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ბლოკის თუ საბჭოეთის შემადგენლობაში მყოფი სახელმწიფოები უმალ გახდნენ ნატოს წევრები. მაშინ ნაკლებად თუ ვინმე აქცევდა ყურადღებას მათ მიერ ნატოს სტანდარტების დაცვა-შესრულებას. მთავარი იყო პოლიტიკური მოტივები. ნატომ არათუ აღნიშნული სახელმწიფოები შეისრუტა, არამედ დსთ-ს ქვეყნებთანაც დაიწყო ფლირტი — პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამით. მოსალოდნელზე სწრაფად, კლინტონის ადმინისტრაციის გამოგონებამ, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. გაჩნდა სუსტი, მაგრამ ცბიერი რუსეთისთვის სამაგიეროს გადახდის შანსი, რაც უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური თამაშების მოყვარულმა შევარდნაძის ხელისუფლებამ წარმატებით თუ წარუმატებლად გამოიყენა. ყოფილმა ხელისუფლებამ ნატოში შესვლა-არშესვლა სავაჭრო საგნად აქცია. **კრემლის ადმინისტრაცია სასაცილოდაც არ მიიჩნევდა შევარდნაძის განცხადებას 2005 წლის ნატოს კარზე დააკაკუნებასთან დაკავშირებით. რამდენიც გინდათ აკაკუნეთ, კარს არავინ გაგიღებთო, დაბეჯითებით ამბობდნენ ისინი. რუსული დიპლომატია თავს იმით იმშვიდებდა, რომ საქართველო კარგა ხანს ვერ დააკმაყოფილებდა ნატოს მოთხოვნებს. მსგავსი აზრი დომინირებდა ყველა მაღალი თუ დაბალი დიპლომატიური რანგის მატარებელ რუს დიპლომატში, ვისთანაც მე მქონდა საუბარი. კლინტონის ადმინისტრაციამ დასახული მიზნის მაქსიმუმი გააკეთა. გადაჭარბება დაძაბავდა მის პირად ურთიერთობებს რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ისე დაასრულა თავისი 8-წლიანი მოღვაწეობა, რომ უფრო მეტს ხელი არ გამოჰკრა. მან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ნატოში გაწევრება იკმარა.**

ბუშის ახალმა ადმინისტრაციამ არა მარტო მსოფლიო ტერორიზმს დაუწყო ომი, არამედ საბჭოეთის მემკვიდრესაც. მას აშკარად აღიზიანებდა ელცინის დამთმობი პოლიტიკის შემდეგ რუსულ პოზიციებზე მყარად მდგომი პუტინის პოლიტიკა. დაიწყო ორი სახელმწიფოს ფარული თუ ღია დაპირისპირება — ფერადყვავილოვანი რევოლუციები, საქართველო-უკრაინის ნატოში გაწევრების დაჩქარება, შავ ზღვაში აშშ-ს სამხედრო კუნთების თამაში, ვენესუელაში რუსული სამხედრო ტექნიკის გამოჩენა და ბოლოს 8 აგვისტო.

**სამხედრო თვალსაზრისით ორი გიგანტის დაპირისპირებას რაღაც უეჭველად მოჰყვებოდა. ეს რაღაც, ცხინვალი იყო. მოსაზრება ცხინვალმა საბოლოოდ გააბათილა ამერიკელ და მათზე აყოლილ ქართველ პოლიტიკოსთა მოსაზრება — რუსეთი ვერ გაბედავს, ან მას ვაშინგტონის შეეშინდება. როგორც ჩანს, ვაშინგტონმა ჯეროვნად ვერ შეაფასა პუტინის მიუნჰენში ნათქვამი. ის მილიტარისტულ რიტორიკად და არა მეტად, აღიქვეს. ნაკლებად დასაჯერებელია იმის მტკიცება, რომ ვაშინგტონმა არ იცოდა, თუ რა ხდებოდა თბილისში 6-7 აგვისტოს. მაშინ, როდესაც სახელმწიფო კანცელარია, სამინისტროები და უწყებები, განსაკუთრებით თავდაცვის სამინისტრო გაჯერებულია ამერიკელი და ებრაელი სამხედრო სპეციალისტებით, დაზვერვის თანამშრომლებით. ნაკლებად დამაჯერებელია განცხადებაც, რომ ვეუბნებოდით, ვაფრთხილებდით, მაგრამ სააკაშვილი არ გვიჯერებდაო. მსგავსი „ლმობიერება“ და „ლიბერალიზმი“ ამერიკელთა მხრიდან დაუჯერებელია. უახლესი ისტორიიდან გამომდინარე, ყველამ კარგად იცის თეთრი სახლის რეაქცია ჯიუტი მოკავშირეების მიმართ: ტორახოსი, ნორიეგა, სადამ ჰუსეინი... ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ომის შემდგომი ამერიკის ღია თუ ფარული პოლიტიკის მაგალითებია თავმოყრილი ბატონ გულბათ რცხილაძის წიგნში „აშშ-ს საგარეო პოლიტიკის საფუძვლები ამერიკელი და ევროპელი ავტორების მიხედვით, სადაც ცნობილი ამერიკელი და ევროპელი ექსპერტები დაუფარავად საუბრობენ იმ პოლიტიკაზე, რაზეც იდგა და დგას ამერიკა.**

დასრულდა ბუშის 8-წლიანი მმართველობა. ამ ეტაპზე დასრულდა საქართველოს ნატოში გაწევრების მცდელობაც. **სამწუხაროდ დასრულდა ან მრავალი წლით გადაიწია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხმაც. სერიოზულად წამოიწია ქვეყნისთვის სახიფათო ფედერალიზაცია. წინ არანაკლები თავსატკივარია, რაც გაწონასწორებულ, კვალიფიციურ, ფიქრსა და ღრმა ანალიზზე დაყრდნობილ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მოითხოვს და არა ტყუილ თავის მართლებას, ნიშნის მოგებით ლაპარაკს.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

# ნატო: მიბრძანდით მოსაცდელ დარბაზში

**მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყურადღების ფოკუსშია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ორდღიანი სამუშაო სხდომა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე ბრიუსელში და განხეთქილება ალიანსის შიგნით უკრაინისა და საქართველოს მიღების საკითხთან დაკავშირებით.**

მაძიებლებს მოუწევთ მოცდა და ეს არის რუსეთთან დაძაბული ურთიერთობის განმუხტვის საფასური, წერენ მეთვალყურეები.

როგორც „გარდიანი" აღნიშნავს, საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის წინ ბრიუსელში ამერიკელებმა შესთავაზეს ახალი ფორმულა, რომელიც თანდათანობით მიიყვანდა კიევსა და თბილისს ნატოს წევრობამდე. მაგრამ სულ ცოტა ექვსი ქვეყანა გამოვიდა წინააღმდეგ. როგორც ჩანს, ორდღიანი ვიზიტი შეიძლება დამთავრდეს სკანდალით, წერს ბრიტანეთის გამოცემა.

ბრიტანეთი, აღნიშნავს გამოცემა, ცდილობდა შეეტანა მაპის კომპრომისული ვარიანტი: მაპი ძველებურად რჩება მნიშვნელოვნად, მაგრამ საქართველოს და უკრაინის შესვლა მოხდება ნატო-საქართველო და ნატო-უკრაინის კომისიების მეშვეობით.

უდიდესი ევროპული ქვეყნები, აღნიშნავს სტატიის ავტორი, აგვისტოს ომის კონტექსტში საქართველოს განიხილავენ, როგორც „ბოროტმოქმედს", ხოლო მის პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს – როგორც არასაიმედო პოლიტიკოსს. უკრაინაში პოლიტიკური არასტაბილურობა ამ ქვეყანას ხდის აგრეთვე უსარგებლოდ ბლოკში შესასვლელად. და ერთდროულად მათ სურთ თავიდან აიცილონ მოსკოვთან შემდგომი კონფრონტაცია. დასავლეთ ევროპის ბანაკის აზრით, ეს პოსტსაბჭოთა ქვეყნები არათუ გააძლიერებენ ნატოს უსაფრთხოებას, არამედ პირიქით, თავად წარმოადგენენ ალიანსის უშიშროების საფრთხეს.

მიუხედავად ნატოს პრესმდივნის ჯეიმს აპატურაის დაპირებისა, წერს „ლა სტამპა", რომ „ნატოს ქვეყნების ლიდერების მიერ ბუქარესტის სამიტზე გახმაურებული პრინციპები მთლიანად იქნება დადასტურებული", არავის, ალბათ, არ სჯერა და არც სურს გადადგას ნაბიჯები, რომლებიც რუსებმა შეიძლება მიიჩნიონ უხეშობად. არ სურთ ეს იტალიას, გერმანიასა და საფრანგეთს, ამჯერად კი ამერიკის შეერთებულ შტატებსაც. ამრიგად, პროცესი წავა ნელა, და ეს არის რუსეთთან ურთიერთობაში დაძაბულობის შემცირების საფასური.

ბუშის ადმინისტრაცია, განაგრძობს კომენტარის ავტორი, დათანხმდა, გადაიდოს მოლაპარაკება საქართველოსა და უკრაინისთვის მაპის მინიჭების შესახებ, და უპირატესობას უკვე ანიჭებენ თანამშრომლობის არსებულ მექანიზმებს. ასეთ გზას შესთავაზებს ამერიკის შეერთებული შტატების მიმავალი სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი ჩრდილოატლანტიკური ბლოკის საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომაზე და მისი წინადადება უნდა გავიდეს.

უკრაინისა და საქართველოსთვის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კარი უახლოეს წლებში დაკეტილი იქნება. გერმანია, ესპანეთი და საფრანგეთი, წერს „დი უელტი", გამოვიდნენ ალმოსავლეთის ბლოკის ყოფილი სახელმწიფოების სასწრაფო მიღების წინააღმდეგ. ალიანსს სურს ახლებურად ააგოს ურთიერთობა რუსეთთან.

ბლოკის გაფართოება, რომელიც იწვევს არაერთაზროვან შეფასებებს, წერს გამოცემა, გახდება მიუნჰენის კონფერენციის თემა, რომელიც გაიმართება 6-დან 8 თებერვლამდე. გამოცემას მოჰყავს გერმანელი დიპლომატის ვოლფგანგ იშინგერის აზრი, რომელიც წელს იქნება თავმჯდომარე კონფერენციაზე: შეცდომა იქნებოდა ალიანსში ახალი წევრების მიღება, თუ არ მოვაწესრიგებთ ურთიერთობას რუსეთთან ახალი თვალსაზრისით. ალიანსის ბევრი წევრი მზად არის მოსკოვთან დიალოგის აღდგენისთვის, თუმცა ბლოკის მონაწილეები კვლავ აკრიტიკებენ რუსეთის მოქმედებას საქართველოში და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას.

ყველა მიმომხილველი მიუთითებს, რომ საქართველოს შანსები ნატოში შესვლაზე ძალიან გაუარესდა სამხრეთ ოსეთში აგვისტოს ომის შედეგად. „დი უოლ სტრიტ ჯორნელი" აქვეყნებს მიხეილ სააკაშვილის მორიგ სტატიას, სადაც საქართველოს პრეზიდენტი განაგრძობს მოვლენათა შეფასების თავის ვერსიებს. საქართველო მოქმედებდა თავდაცვის წესით, ამტკიცებს იგი.

მას შემდეგ, რაც აგვისტოში რუსეთი შეიჭრა საქართველოში, საერთაშორისო გაერთიანება, როგორც ეტყობა, გაიყინა ერთადერთ საკითხზე, რომელიც შეეხება ომის დაწყების ვითარებებს: იყო თუ არა საქართველოს ჯარების მცდელობა დაეკავებინათ ცხინვალი, უგუნური ქცევა? მაგრამ ეს საკითხი მუსირებს ძირითადად პიარკომპანიის მიზეზით, რომელსაც ახორციელებს რუსეთის მხარე და რომელიც ცდილობს ყურადღების გადატანას სხვა მხარეზე, რათა დაფაროს თავისი ენერგიული და აშკარა პოლიტიკა საქართველოში არსებული წყობილების შესაცვლელად, წერს სააკაშვილი.

საქართველოს პრეზიდენტი გვთავაზობს დავსვათ სხვა საკითხი: „რომელი დემოკრატიული სახელმწიფო მოიქცეოდა სხვაგვარად, თუ მის მოქალაქეებს ანადგურებენ, და იჭრებიან მის ტერიტორიაზე?". „საქართველოს მხარეს ნაბიჯიც არ გადაუდგამს საქართველოს ტერიტორიის მიღმა", – აღნიშნავს იგი.

სანამ რუსეთი არ შეერთებია საერთაშორისო გაერთიანებას სრულუფლებიან პარტნიორად, უნდა შევეცადოთ, არ გავწიროთ ისეთი დემოკრატიული ქვეყნები, როგორიცაა საქართველო და რომელიც ცდილობს კავკასია გადააქციოს სტაბილურად, უსაფრთხოდ და უფრო თავისუფლად, – აღნიშნავს სააკაშვილი.

რაც შეეხება უკრაინას, საინტერესო მასალას აქვეყნებს ბრიტანული „დი ტაიმსი". უკრაინის ნატოში მიღების იმედები ქრება, და პრეზიდენტი იუშჩენკო ცდილობს დაამყაროს უფრო თბილი ურთიერთობანი მოსკოვთან, მან გასცა განკარგულება, გადასინჯონ ქვეყნის კურსი ამ სფეროში, ამტკიცებენ კორესპონდენტები ტონი ჰელპინი და მაიკლ ევანსი.

„უკრაინის მოქალაქეთა უმეტესობა ათვითცნობიერებს, რომ დაძაბულობა და ანტაგონიზმი ჩვენს აღმოსავლეთ საზღვარზე ართულებს ინტეგრაციას ევროპასა და ევრო-ატლანტიკურ ალიანსში. ამჟამად კიევი გეზს იღებს თავისი დიალოგის ინტენსიფიკაციაზე რუსეთთან, რათა გაფანტოს მისი შეშფოთება უკრაინის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთ პრიორიტეტთან დაკავშირებით", – განაცხადა მოსკოვში უკრაინის საელჩოს პრეს-მდივანმა ოლეგ ვოლოშინმა.

იუშჩენკოსთვის ეს ტონის გასაოცარი ცვლაა, ხაზგასმით აღნიშნავენ ავტორები, და იხსენებენ: დღემდე უკრაინის პრეზიდენტი აცხადებდა, რომ ეშინია რუსეთის აგრესიისა ყირიმში, და ბრალს სდებდა იულია ტიმოშენკოს სამშობლოს ღალატში იმისთვის, რომ მან არ დაგმო რუსეთის აგვისტოს ინტერვენცია.

**პრესის მიმოხილვა**

# სამიტზე ამერიკამ რუსეთთან თავისი ურთიერთობა შეარბილა

**ნატოს სამიტზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავისი ურთიერთობა რუსეთთან შეარბილა. იმ პირობებში, როდესაც ბუშის ადმინისტრაცია ელვის სისწრაფით კარგავს გავლენას, ამერიკის მხარე დათანხმდა, მოეწონებინათ ნატოსთან რუსეთის დიალოგის განახლების შეზღუდვა, თუმცა მოსკოვი აგრძელებს საქართველოს სეპარატისტული ტერიტორიების – სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპაციას.**

ამრიგად სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი თავის უკანასკნელ სამიტზე ნატოში დათმობაზე წავიდა, გერმანიამ კი საპასუხოდ ნება მისცა ნატოს, დააჩქაროს უკრაინისა და საქართველოს მზადება ალიანსში შესასვლელად გაურკვეველ მომავალში, რათა საბოლოო გადაწყვეტილება დააკისროს ობამას ადმინისტრაციას.

ამავე დროს ბრიუსელში განახლდა მოლაპარაკება ევროკავშირსა და მოსკოვს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ.

გამოცემას მოჰყავს ნატოს გენერალური მდივნის იააპ დე ჰოოპ სხეფერის სიტყვები სამშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე: „მოკავშირეებმა მოილაპარაკეს იმის შესახებ, რომ თანდათანობით განახლდეს კონტაქტები რუსეთთან გარკვეული პირობების შესრულების შესაბამისად". როგორც გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, ნატოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა დაადასტურეს, რომ უკრაინა და საქართველო საბოლოო ჯამში გახდებიან ალიანსის წევრები. გადაწყდა „მაქსიმალურად გაფართოვდეს და გააქტიურდეს ძალისხმევა" ამ ქვეყნების ალიანსში წევრობასთან დაკავშირებით – ამჯერად ნატოს კომისიების მეშვეობით და არა წევრად გახდომის მოქმედებათა გეგმის შესაბამისად.

გამოცემის მონაცემებით, წინადადება მოამზადონ საქართველო და უკრაინა ნატოს წევრობისთვის უკვე არსებული კომისიების მეშვეობით, მომდინარეობს ამერიკის შეერთებული შტატებიდან (კომისია ნატო – უკრაინა შეიქმნა 1997 წელს, ხოლო კომისია ნატო საქართველო – მიმდინარე წელს, აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ). გერმანიამ, თავის მხრივ, განაცხადა, რომ ალიანსმა არ უნდა მისცეს დამატებითი დაპირებანი საქართველოსა და უკრაინას და კვლავ გამოიწვიოს რუსეთის პროვოცირება. თუ ბუქარესტში გერმანია გამოვიდა მაპის მინიჭების წინააღმდეგ ამ ქვეყნებისთვის, ამჯერად იგი დაბეჯითებით მოითხოვს იმას, რომ ისინი შევიდნენ ნატოში „კუთხეების ჩამოჭრის გარეშე", მაპის ფორმალური პროცედურების გავლით.

სამიტის კომპრომისული გადაწყვეტილება შეიძლება სავსებით ნიშნავდეს იმას, რომ ალიანსის თანამშრომლობა საქართველოსთან და უკრაინასთან პრაქტიკულად გაგრძელდება.

**სტივენ ერლანგერი**

The New York Times




# ახალგორთან პრეზიდენტების კორტეჟს „სროლა ქართველებმა აუტეხეს"

**პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის საქართველოში ვიზიტისას ახალგორის რაიონში 23 ნოემბერს ორი პრეზიდენტის კორტეჟს სროლა ქართველებმა აუტეხეს – პოლონეთის გაზეთ Dziennik-ის** ცნობით, სწორედ ამ ვერსიას მიიჩნევს უფრო სარწმუნოდ შინაგანი უსაფრთხოების სააგენტო (ABW), რომლის თავკაცმა კჟიშტოფ ბონდარიკმა ამის თაობაზე მომზადებული პატაკი სახელმწიფოს ხელმძღვანელ პირებს დაუგზავნა.

ამასთან დაკავშირებით გავრცელებულ ცნობაში საინფორმაციო სააგენტო REGNUM-ი იუწყება, რომ, პოლონეთის სპეცსამსახურების მონაცემებით, ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ცეცხლის დაშენის პირველ სერიაზე ქართულ დაცვას რეაქცია არ მოუხდენია. მეტიც, ინციდენტის დროს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი „მოდუნებული იყო და იღიმებოდა". ABW ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ უშუალოდ ინციდენტამდე წინ გაუშვეს ჟურნალისტების ავტობუსი, რათა მათ თავდასხმის გადაღების შესაძლებლობა ჰქონოდათ. მანამდე საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა პიოტრ პაშკოვსკიმ აღნიშნა, რომ უწყებას არ გააჩნია ზუსტი მონაცემები იმის თაობაზე, რომ ესკორტის გამოჩენისას იარაღი რუსეთელმა სამხედროებმა გამოიყენეს.

მან ასევე განაცხადა, რომ ლეხ კაჩინსკის ვიზიტი სამხრეთ ოსეთის საზღვარზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ ბოლო წუთს იყო ინიცირებული და იგი უბრალოდ ჩაწერეს ვიზიტის პროგრამაში.

საქართველოს მხარემ სააკაშვილსა და კაჩინსკის კორტეჟისთვის ცეცხლის დაშენაში რუსეთელი სამხედროები დაადანაშაულა, რასაც მოსკოვსა და ცხინვალში პროვოკაცია უწოდეს. ქართულ მასმედიაში ბუფერულ ზონაში ორი პრეზიდენტის ჩასვლის ორი ვერსია გამოითქვა. ერთის მიხედვით სახიფათო ზონაში კორტეჟი ლეხ კაჩინსკის ინიციატივით გაემართა, რომელსაც ზონაში ვითარების ნახვა საკუთარი თვალით სურდა, ასევე უნდოდა პირადად დარწმუნებულიყო იმაში, რომ იქ რუსეთელი სამხედროების ბლოკპოსტია განთავსებული. მეორე ვერსიით, რომელიც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ დაადასტურა, ინციდენტი სოფელ მეტეხში მოხდა, სადაც საქართველოსა და პოლონეთის პრეზიდენტები ერთ-ერთი ლტოლვილის ოჯახის მოსანახულებლად მიემართებოდნენ.

ხედვა შორიდან

## საიდ-ემინ იბრაგიმოვი:

# „ფაქტია, რომ საქართველო ბრძოლის პირველ რაუნდს ჯერჯერობით აგებს...“

**— გმადლობთ. წარმოვიდგინოთ ასეთი რამ: ვთქვათ ჩეჩნეთი, რომელიც 400 წლის წინათ დამოუკიდებელი იყო და იგი XVI საუკუნეში პასეს თუ გაეროს წევრი გახდა. შემდეგ „იქმნება“ ბოლშევიკური სსრკ თავისი საზღვრებით, რომელშიც დაპყრობილი ჩეჩნეთი „შედის“. რამდენად მნიშვნელოვანია ევროსაბჭოსთვის საზღვრების გადასხვაფერების ისტორიული ფაქტები და კონკრეტულად, რომელი თარიღი ითვლება „წმინდა თარიღად“: რომელიც დაფიქსირდა, როგორც ახალი, ანუ ანექსიის განმხორციელებელი ქვეყნის საზღვრის „დაბადების დღედ“, პასეს შექმნის თარიღის დროს წინა დღით შექმნილი საზღვრები, ქვეყნის, რესპუბლიკის, პროვინციის დამოუკიდებლობის გამოცხადების თარიღი, თარიღი და გეოგრაფიული ადგილი მისი ისტორიული დაარსებისა, მისი ოკუპირებულ ტერიტორიად გამოცხადების თარიღი თუ კიდევ რომელიმე თარიღი? რომელია ათვლის წერტილი? დროის რომელ მონაკვეთში ძევს სახელმწიფოს თავის საზღვრებში აღიარების თეორიული თუ პრაქტიკული ფაქტი?**



— ამ კითხვების დასმის საბაბს საერთაშორისო სამართალში უამრავი იურიდიული ნაკლოვანების არსებობა იძლევა. ამ ნაკლოვანებებს კი ძლიერი სახელმწიფოები თავის ინტერესებში იყენებენ, ხოლო მათი ძირითადი არგუმენტი ძალაა. მანამ, სანამ საერთაშორისო თანამეგობრობა არ დაიწყებს სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებულ საერთაშორისო სამართლის რეფორმირებას და კანონის უზენაესობა რეალურად მოქმედი პრინციპი არ იქნება, ეს და სხვა კითხვები პასუხს ვერ მიიღებენ.

**— კოსოვო გახდება ევროსაბჭოს წევრი?**

— ჯერ არა, მაგრამ ვფიქრობ, რომ უახლოეს მომავალში გახდება.

**— როგორ ფიქრობთ, დამარცხდა თუ არა XXI საუკუნეში სამშვიდობო მოლაპარაკებები, როგორც ტერიტორიული პრობლემების გადაწყვეტის მეთოდი?**

— ტერიტორიული პრობლემა ყოველთვის იყო და დარჩება მთელი მსოფლიოს თანამეგობრობის პრობლემად. გაეროს წესდება, რომელიც ერთ ადგილას ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას და, ამავე დროს, ტერიტორიული მთლიანობის პრონციპს ამყარებს, ვიმეორებ, საერთაშორისო კონფლიქტების წარმოქმნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. უკვე დიდი ხანია მომწიფდა დრო იმისთვის, რომ მოხდეს გაეროს წესდებისა და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების სხვა საერთაშორისო დოკუმენტების რეფორმირება. უპირველეს ყოვლისა კი საჭიროა, რომ მათ აზრობრივად მხოლოდ ერთმნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდეთ.

**— რამდენად არიან დაცული ჩეჩნები საზღვარგარეთ, კერძოდ, საფრანგეთში?**

— რუსეთის სპეცსამსახურებმა აქაც კი პროვოკაცია არაერთხელ მომიწყვეს, მაგრამ მე, მწარე გაკვეთილებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით ფრთხილი გავხდი. საშინელება ისაა, რომ რუსები სტრასბურგში ჩეჩნების წინააღმდეგ პროვოკაციების მოწყობას მაინც ახერხებენ. ამას წინათ, სტრასბურგში ფრანგული ჯარში მომსახურე რუსმა ჯარისკაცებმა ჩეჩენი ყმაწვილი, ჩემი შვილის მეგობარი სცემეს. იგი ჩეჩნეთში ნაღმზე აფეთქდა და ფეხი დაკარგა. ახლობლებმა ძლივს იპოვეს და აქ ჩამოიყვანეს. ფაქტობრივად, იგი სიკვდილს გადარჩა. ერთხელ იგი პლაჟზე წავიდა და ფეხის პროთეზი მოიხსნა, რუსებმა როგორც კი დაინახეს, მივარდნენ და ცემა დაუწყეს. იგი მათ პროთეზით იგერიებდა, მაგრამ რუსებმა მეორე ფეხზე დანა დაარტყეს. იმან კი იმავე დანით ორივე რუსი დაჭრა.

დღისით, მზისით ტრამვაიში რუსმა ხულიგნებმა ჩეჩენ ლტოლვილს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს, იგი ტრამვაიდან გადმოხტა და გადარჩა. პოლიცია მოქანდა და ამ ჩეჩენის დაკითხვა დაიწყო, რუსების ძებნა არც კი დაუწყია.

**— თქვენმა შიმშილობის აქციებმა რაიმე საგრძნობი შედეგი გამოიღო?**

— ვერ ვიტყვი, რომ ისინი უშედეგო იყო. პასეს თითქმის ყველა სხდომის დროს ჩვენ მრავალრიცხოვან მიტინგებს ვატარებდით და ეს დეპუტატებზე, რასაკვირველია, ზემოქმედებდა. ჩვენი სამშვიდობო მარშები და შიმშილობის აქციები ევროპის დამოუკიდებელ პრესაში შუქდებოდა: განსაკუთრებით გაზეთით „DNA“ და საფრანგეთის ტელევიზიის მესამე არხით, რუსეთის დამოუკიდებელ პრესაშიც, „კავკაზსკი უზელში“. ჩემი შიმშილობებისა და წერილობითი მოთხოვნების თაობაზე ამერიკული პრესისთვის მუდმივად წერდა ჟურნალისტი და უფლებადამცველი ნადეჟდა ბანჩიკი, იტალიელი ელენა მარია მურდაკა, პირველი პრეზიდენტის ქვრივი ალა დუდაევა, ადამიანის უფლებების დამცველები, კრემლის მიერ არაკონტროლირებადი ინტერნეტ -საიტები. მაგრამ რუსული სამხედროებისა და პოლიტიკური ძალების გაჩერება, ფაქტობრივად, შეუძლებლია. თუმცა ჩეჩენი ხალხის მიმართ ევროსაბჭოს დამოკიდებულება დრო და დრო იცვლებოდა. მაგრამ როგორც კი ამას რუსი პოლიტიდეოლოგები გრძნობდნენ, „ჩეჩნების ეგიდით“ ტერაქტები ხდებოდა, ამიტომ ყველაფერი კვლავ „ანტიტერორისტული ოპერაციის“ კალაპოტში ბრუნდებოდა.

**— როგორ აფასებთ ჩეჩნეთში ამჟამად მიმდინარე პროცესებს?**

— თუ თქვენ ე. წ. „სტაბილიზაციისა და ჩეჩნეთის რესპუბლიკის აღდგენის“ გეგმას გულისხმობთ, ამის თაობაზე მე ჩემი მოსაზრება მაქვს. რასაკვირველია, მე, როგორც ჩეჩენს, მიხარია, რომ ხალხის ნაწილს მდგომარეობა, რაღაც დროით მაინც, შეუმსუბუქდა. მაგრამ ცხოვრებისეული გამოცდილება და მიმდინარე ოპერაციების ანალიზი მიკარნახებს, რომ ჩეჩენი ხალხის ტანჯვა არ დასრულებულა. რუს პოლიტექნოლოგებსა და სამხედრო ძალებს ჩეჩენი და ჩვენს მიწაზე მცხოვრები სხვა ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული ნამდვილად რომ გაეცნობიერებინათ, ისინი ღრმად მოინანიებდნენ იმას, რომ ხელოვნურად ახდენდნენ დაძაბულობის ესკალაციასა და ამ დანაშაულებრივი ომის გაჩაღებას. მოინანიებდნენ იმ რუსი ჯარისკაცების ახლობლების წინაშე, რომლებიც გარდუვალი სიკვდილისთვის გაწირეს. ოფიციალურად აღიარებდნენ, რომ ომი ჩეჩენი ხალხის დასაპყრობად უკანონოდ დაიწყო, რუსეთისვე კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ და ჩამოთვლიდნენ დამნაშავეთა სახელებს ეროვნებისა და მათ მიერ დაკავებული თანამდებობების მიუხედავად, ჩაატარებდნენ დამოუკიდებელ გამოძიებას ყველა სამხედრო თუ მშვიდობიანი მოსახლის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამოსააშკარავებლად და მათ მკვლელებს თუ მკვლელობის შემკვეთებს სათითაოდ დაასახელებდნენ. ჩაატარებდნენ საყოველთაო სამედიცინო რეაბილიტაციას, ღია ეკოლოგიურ ექსპერტიზას. მთელს ჩეჩენ ხალხს და ომამდე მცხოვრებ ყველა ჩეჩენ მოქალაქეს მორალურ და ქონებრივ ზარალს აუნაზღაურებდნენ. მხედველობაში არა მაქვს ის უმნიშვნელო გროშები, რომელსაც ხანდახან დანგრეული სახლების აღსადგენად იხდიან. მე ვგულისხმობ რეალურ თანხებს. ასევე ფულად კომპენსაციას გადაუხდიდნენ დაღუპულთა ახლობლებს, დაჭრილებსა და ინვალიდებს. რუს პოლიტიკურ და სამხედრო ძალებს ჩეჩნეთში სტაბილიზაცია ნამდვილად რომ უნდოდეთ, ისინი კანონის უზენაესობას დაამყარებდნენ. სინამდვილეში კი ჩეჩნეთში უკანონობა და გაწუკითხაობა ყველა მიმართულებით გრძელდება. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ დაუსჯელობის გრძნობის გამო, დამნაშავეები უკვე ჩადენილ დანაშაულებზე არ გაჩერდებიან. ასეთია მოძალადეთა მორალი.

**— მოსკოვის ცენტრში იამადაევის მკვლელობამ ჩეჩნეთზე რა გავლენა იქონია?**

— ვფიქრობ, რომ სიტუაცია ჩეჩნეთში უკვე გადანაწილებულია და ბევრ ფიგურანტს თავისი როლი უკვე მიკუთვნებული აქვს. მე არასოდეს გამხარებია ვინმეს სიკვდილი, თუმცაღა დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერი დანაშაული შესაბამისად უნდა დაისაჯოს. ვიმეორებ, იმან, ვინც სათაგურის უფასო ყველით მოიხიბლა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგოს: უფასო ყველი არ არსებობს! ეს არაერთხელ დადასტურებულა ცხოვრებითა და ისტორიით. ჩეჩნებმა, რომლებიც ჯალათის მხარეს გადავიდნენ, უნდა გაიგონ, რომ ადრე თუ გვიან, როცა ისინი მათთვის დაკისრებულ როლებს შეასრულებენ, საჭირონი აღარ იქნებიან, ბატონებს აღარ დასჭირდებიან. დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს იმის მიხვედრა, თუ რა ელით მათ. ვფიქრობ, რომ იამადაევი რუსმა პოლიტექნოლოგებმა კადიროვის საპირწონედ მოამზადეს, რათა მას ჩეჩნური წინააღმდეგობის შიგნით განხეთქილება შეეტანა.

**— ზაკაევმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ჩეჩნეთი, პრაქტიკულად, დამოუკიდებელია. თქვენ ამ მოსაზრებას ეთანხმებით? ნუთუ ჩეჩნეთს ჩეჩნების მიერ ერთმანეთის გატაცება-მკვლელობა აძლიერებს? ვინაა ბოლოს და ბოლოს კადიროვი?**

— ზაკაევს გამოცდილ პოლიტიკოსად ვიცნობ. მაგრამ მე დამოუკიდებლობის ჩემეული გაგება მაქვს. დიახ, ჩეჩენ ხალხს დამოუკიდებლობა სჭირდება, უპირველეს ყოვლისა, თავისი ეთნოსის შესანარჩუნებლად. ყველამ იცის, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში რუსეთი ჩეჩნეთის მიწების ანექსიის მიზნით სისხლისმღვრელ ომს აწარმოებდა. ბევრმა იცის რუსი დამპყრობლების ლოზუნგი „ჩეჩნეთი ჩეჩნების გარეშე“. დღეს კრემლი იგივე ამოცანას ისახავს. მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების მფარველობის ქვეშ მყოფი საერთაშორისო სამართლის სუბიექტად აღიარებული ჩეჩენი ხალხი, როგორც ნაცია, გადარჩება. მას მხოლოდ ასე აქვს სამომავლო პერსპექტივა, რათა კვლავ არ შეეჯახოს რუსეთიდან ინიცირებული მკვლელობის ახალ სცენარებს.

იურიდიული თვალსაზრისით, ჩეჩნეთის ხელისუფლება კანონიერია და ხალხის ნების დასათრგუნად არაა დანიშნული. მაგრამ ისიც ცხადია, რომ იგი არაოკუპაციის პირობებში უნდა იყოს არჩეული. ამდაგვარი არჩევნები ჩეჩნეთის მიწაზე ორჯერ ჩატარდა. სამწუხაროდ, დაინტერესებულმა ძალებმა მათი კანონიერი სახის დამახინჯება შესძლეს, ხელოვნურად შექმნეს ეროვნული უთანხმოება, ეკონომიკური, პოლიტიკური წინააღმდეგობები, რომლებმაც უკვე ცნობილ მოვლენებამდე მიგვიყვანეს. მე ღრმად მწამს ჩეჩენი ხალხის სიბძნისა, რამაც იგი მძიმე ისტორიულ პერიოდში გადაარჩინა. ჩეჩნები დაძლევენ ამ წინააღმდეგობას და ჩვენი ხალხი თავისი სახელმწიფოს შექმნას აუცილებლად შესძლებს. ამისთვის კი არსებობს ყველა იურიდიული და პრაქტიკული საფუძველი, რომლის ფუნდამენტი ხალხის შეკავშირებაა. მაგრამ ჩეჩნებს ეს ჯერ გაცნობიერებული არა აქვთ. პირადად მე, ნებისმიერი ომის წინააღმდეგი ვარ, რადგანაც ომი, ადამიანების უბედურება და ტანჯვაა. საქართველოში აგვისტოს მოვლენები მადესტაბილიზებადი ფაქტორი იყო და არის არა მარტო ჩეჩნეთისთვის, არამედ მთელი კავკასიისთვის. სამწუხაროდ, იგი კიდევ არაერთხელ შეგვახსენებს თავს. სავსებით შესაძლებლია, რომ თავიდანვე კრემლმა გათვლა სწორედ ამაზე გააკეთა.



**ია მერკვილაძე,**

**„სრ“ საკ. კორ. აშშ-ში,**
**ნიუ-იორკი-სტრასბურგი**

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 224-226.

ფილმის პრემიერა

# „ომისა და მშვიდობის ზღვარზე“

**ომი, ოსურ-ქართული, რუსული ურთიერთობები ის თემებია, მარტო პოლიტიკა კი არა, კულტურისა და ხელოვნების არცერთი სფერო რომ აღარ დაუტოვებია... ყველგან შეაღწია.**

რაღა გასაკვირია, რომ ახალგაზრდა რეჟისორმა ნინო პოპიაშვილმაც დოკუმენტური ფილმის თემატიკად სწორედ ქართულ-ოსური ურთიერთობები აირჩია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ფილმზე, რომლის სახელწოდებაა — „ომისა და მშვიდობის ზღვარზე“, მუშაობა გაცილებით ადრე დაიწყო, და რომ არა აგვისტოს მოვლენები, ფილმი სხვაგვარად დასრულდებოდა. რეალობამ კი ფილმში ასახული ერთა შერიგების პროცესის შესაძლებლობა, შორეულ პერსპექტივაში გადაიტანა.

ერთი შეხედვით ეს ფილმი თითქოს ახალს არაფერს გვეუბნება, მაგრამ კიდევ ერთხელ დაფიქრების და ურთიერთობების გაანალიზების საშუალებას ნამდვილად გვაძლევს. ფილმის ყველა პერსონაჟი ახალგაზრდაა და ისინი ოსები და ქართველები არიან. ისინი ერთი თაობის, ერთ რეალობაში მცხოვრები ახალგაზრდები არიან, ოღონდ სხვადასხვა ბანაკში იმყოფებიან. ისინი საუბრობენ ომზე, როგორ აწვიმდათ ტყვიები, როგორ დაუნგრიეს სახლები, როგორ გადაიქცნენ დევნილებად, დაეღუპათ ახლობლები... მართალია, ფილმის გმირები კონფლიქტის ორი დაპირისპირებული მხარის წარმომადგენლები არიან, მაგრამ მათი საუბარი, აზრები და მონაყოლი იმდენად იდენტურია, რომ დაფიქრებად ღირს, რომ ომში ყველა ერთნაირად ზარალდება და ჩვენი მოწინააღმდეგე, მშვიდობიანი მოსახლეობაც ჩვენსავე დღეშია.

ომისა და მშვიდობის ზღვარზე მყოფ ქვეყანაში, ამავე სახელწოდების ფილმის წარდგინება, კინოს სახლში გაიმართა. პრემიერას ცნობილი რეჟისორები, პოლიტიკოსები და კინომცოდნეები ესწრებოდნენ. მაყურებელთა შორის თვალზე ცრემლმომდგარ ადამიანებსაც შეამჩნევდით. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ისინი ცხინვალიდან დევნილი, იარაგანახლებული ადამიანები იყვნენ. ფილმის ჩვენებაზე ერთ-ერთი საპატიო სტუმარი ნიქოზის ეპარქიის მეუფე ესაიაც იყო, რომელიც უშუალო მომსწრეა აგვისტოს მოვლენებისა, და რომელსაც დაბომბვების ჟამსაც არ მიუტოვებია საკუთარი ეპარქია.

კინოს სახლში შეკრებილმა საზოგადოებამ ახალგაზრდა რეჟისორს წარმატებები უსურვა და ერთხმად გადაწყვიტეს, რომ საჭიროა ამ ფილმის ფართო მასებისათვის გაცნობა. ფილმის რეჟისორმა ნინო პოპიაშვილმა ჩვენთან საუბარშიც დაადასტურა, რომ აუცილებლად მოხდება ამ დოკუმენტური ფილმის ტელევიზიით ჩვენება და შემდგომ განთავსდება ინტერნეტშიც.

„ჩვენ გვაინტერესებდა რას ფიქრობდნენ ახალგაზრდები. ქართველი ახალგაზრდები არ იცნობენ ოსი ახალგაზრდების თვალსაზრისს და პირიქით ოსები - ქართველებისას, ამიტომ ჩვენ სწორედ ამის გადმოცემა გვინდოდა. გვინდოდა გაგვეგო, რა ახსოვთ მათ, რა იციან ერთმანეთზე, რა მოლოდინები, რა იმედები აქვთ; გაგვეგო, შეძლებენ თუ არა სამომავლოდ ეს ახალგაზრდები ერთად ცხოვრებას... აგვისტოს მოვლენების შემდეგ ურთიერთობების აღდგენა ალბათ უფრო შორ პერსპექტივაში გადავიდა, მაგრამ მთავარია, რომ ამ ახალგაზრდებში სიძულვილი არ ჩანს და ისინი ერთმანეთში მხოლოდ მტერს არ ხედავენ“, — განაცხადა რეჟისორმა.

**თამარ ბუზალაძე.**

კალათბურთი



## თექვსმეტწლიანები – ესპანეთში

**თბილისის მერიის დაფინანსებით საქართველოს თექვსმეტწლამდელ კალათბურთელთა ნაკრები (ოთარ ფხაკაძე, გიორგი ამირხანაშვილი, ლერი კვანტალიანი, ბექა ნადირაძე, ირაკლი მიქელაძე, ბექა ბურჯანაძე, ლევან ლოლიშვილი, ბექა ღუდუშაური, გელა გულმაგარაშვილი, გიორგი ორმოცაძე, დავით გაფრინდაშვილი, გეგი მესხი, ალეკო ჩოჩია, არჩილ ფეიქრიშვილი, მწვრთნელები — გია კაზანჯიანი, არჩილ ქლენტი, ტექნიკური დირექტორი — გელა წულაძეძ ესპანეთს გაემგზავრა, სადაც ხვალიდან თანატოლთა საერთაშორისო ტურნირში ჩაებმება.** ჩვენებთან ერთად B ჯგუფში ესპანეთის პირველი გუნდი, იტალიელები, პოლონელები და სლოვენიელები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

ჯგუფური ტურნირის შემდეგ პირველ ადგილზე გასული კალათბურთელები მთავარი პრიზისთვის იბრძოლებენ, ხოლო მეორეადგილოსნები ბრინჯაოს მედლების ბედს გაარკვევენ.

ძიუდო

## დილომში, ახალ დარბაზში



**საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 200-მდე ძიუდოისტი მონაწილეობდა ეროვნულ ჩემპიონატში, რომელსაც დილმის შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის ახალგახსნილმა დარბაზმა უმასპინძლა. მწვრთნელებმა ქვეყნის ნაკრების ლიდერები დაასვენეს, რადგან მათ დაძაბული სეზონი ჰქონდათ.**

ასპარეზობის პირველ დღეს ჩემპიონები და პრიზიორები სამ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ. გაუწყებთ მათს ვინაობას:

**60 კგ.** 1. ამირან პაპინაშვილი (აჭარაძ, 2. ბეთქილ შუკვანი (მცხეთა-მთიანეთიძ, 3. სოსო ნიჟარაძე (ქვემო ქართლიძ და ლევან ჩუბინიძე (იმერეთიძ.

**66 კგ.** 1. შალვა ქარდავა (ქვემო სვანეთიძ, 2. გიორგი ფერსაშვილი (შიდა ქართლიძ, 3. სანდრო იაკობაშვილი და გიორგი გუჯეჯიანი (ორივე — ქვემო ქართლიძ.

**73 კგ.** 1. თენგიზ პაპოშვილი (კახეთიძ, 2. დავით კუპრაშვილი, 3. ამბაკო ავალიანი (ორივე — ქვემო ქართლიძ და ლაშა გუმბერიძე (იმერეთიძ.

ქართველ მოჭადრაკე ქალებს

## ოლიმპზე აბრწყინებულებს



**ამ ზეიმის ჟამს კარგად ვუწყი, უნდა ვთქვა რაიც:
თქვენ — „ვაშას“ ჭექვა, მუხლთმოდრეკა, მაშხალთანთება.
...ქვეყნის მტრებისაც შეგვძლებოდეს, ოდესმე მაინც,
ასე დალაშქვრა, დაქიშვა თუ დაშამათება...**

**თამაზ ილმელი**

სეზონის ფინიშზე

## „ფრანს ფუტბოლის“ რჩეული



**წლეულს კრიშტიანუ რონალდუმ „მანჩესტერთან“ ერთად ინგლისის პრემიერლიგა და ჩემპიონთა ლიგა მოიგო, თანაც 42 გატანილი გოლით ევროპის საუკეთესო ბომბარდირისთვის განკუთვნილ „ოქროს ბუცს“ დაეუფლა. შთამბეჭდავია 23 წლის პორტუგალიელის საერთო მონაგარიც: ბრიტანული კლუბის მაისურით, 2003 წლიდან გამართულ 174 შეხვედრაში მან მეტოქეთა მეკარეები 74-ჯერ დაამწუხრა, ეროვნული ნაკრების ქომაგები კი ამავე პერიოდში 61 მატჩში 21-ჯერ გაახარა.**

დაგვეთანხმებით, ასეთი შედეგებით მან სავსებით დაიმსახურა ის ჯილდო, რომელსაც 7 დეკემბერს გადასცემენ — „ფრანს ფუტბოლმა“ უზადო ტექნიკით გამორჩეული შემტევი ნახევარმცველი სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარა — 446 ქულა. მისმა მთავარმა კონკურენტმა არგენტინელმა ლიონელ მესიმ („ბარსელონა“ძ 281 ქულა მოაგროვა, ხოლო „ევრო-2008“-ის ესპანელმა გმირმა ფერნანდო ტორესმა („ლივერპული“ძ — 176.

რონალდუ მესამე პორტუგალიელია, რომელმაც „ოქროს ბურთი“ მოიპოვა. უწინ ანალოგიური პატივი მის სახელოვან წინამორბედებს ეუსებიოს (1965 წელი, „ბენფიკა“ძ და ფიგუს (2000 წელი, „ბარსელონა“ძ ხვდათ წილად.

დავძენთ, რომ უკანასკნელად „მანჩესტერის“ მოთამაშე ევროპულ ოლიმპზე 1968 წელს ავიდა (ჯორჯ ბესტიძ. რაც შეეხება პრემიერლიგას, მისმა წარმომადგენელმა მაიკლ ოუენმა („ლივერპული“ძ 2001 წელს ასახელა სამშობლო.

ფაქტი

## ჩასვამენ თუ არა?





**ლამის მთელი საქართველო გულშემატკივრობს სეზონის აღმოჩენას — ფამაგუსტას „ანორთოსისს“, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით თამაშობს და მომავალ კვირაში სტუმრად ჯგუფური რაუნდის გადამწყვეტ შეხვედრას ბერძნულ „პანათიანიკოსთან“ გამართავს.**

ყოფნა-არყოფნის მატჩის წინ თემურ ქეცბაიას გუნდის თავზე ცა მოიქუფრა — პატიმრობა ემუქრება კვიპროსული კლუბის პრეზიდენტს ანდრეას პანტელის, რომელიც თანამდებობიდან უკვე გადადგა. მაინც რა შესცოდა ასეთი 48 წლის კუნძულელმა? ახლავე მოგახსენებთ.

იგი, არც მეტი, არც ნაკლები, საკლუბო თანხების მითვისებაშია ეჭვმიტანილი და, სასამართლოს გადაწყვეტილებით, სამდღიანი წინასწარ პატიმრობაში იმყოფება. პანტელი მას შემდეგ დააკავეს, რაც კლუბის გამგეობის წევრებმა პოლიციაში უჩივლეს და მოტყუების გზით 418 498 ევროს მითვისებასა და კიდევ 500 000 ევროს მითვისების მცდელობაში დასდეს ბრალი. სამართალდამცავები ასევე იძიებენ მის მიერ თითქოსდა ყალბი დოკუმენტების დამზადება-გავრცელებისა და დანაშაულის დაფარვის მცდელობის საქმეებსაც. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პრეზიდენტყოფილმა პირობა დადო, რომ იმ თანხას სრულად დააბრუნებს, რომელიც „გაირკვევა, რომ მას კლუბისადმი მართებს“, სანაცვლოდ კი გამგეობის წევრები ყველა ბრალდებას მოუხსნიან. თუმცა, მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, საქმე უკვე ძიებაშია და კანონი პოლიციას მის ბოლომდე მიყვანას ავალდებულებს.

ალბათ, დაგაინტერესებთ თვით ეჭვმიტანილის პოზიციაც. ის აცხადებს, რომ კლუბში ძალაუფლებისთვის ბრძოლას ეწირება და ყველა ბრალდებას უარყოფს.

ინტერნეტიდან

### ჰემილტონი საშობაოდ — კოსმოსში



**ავტორბოლაში „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონმა ლუისი ჰემილტონმა განაცხადა, რომ აპირებს კოსმოსში გაფრენას. ბრიტანელმა მრბოლმა აღიარა, რომ უნდა თავისთვის, თავის შეყვარებულ ნიკოლ შერცინგერისთვის, აგრეთვე თავისი ოჯახის სამი წევრისთვის ბილეთების შეძენა კერძო კოსმოსურ ხომალდზე Virgin Galectic.**

აბა, დააკვირდით, საქვეყნოდ აღიარებული მრბოლი როგორ ექსტრავაგანტულ საშობაო საჩუქარს უმზადებს თავის ახლობლებს. როგორც ამბობენ, საშობაოდ ეს ხუთი ბილეთი 23-წლის პილოტს მილიონერი დოლარი დაუჯდება. „ლუისს მიაჩნია, რომ ეს იქნება იდეალური საშუალება, რათა მადლობა გადაუხადოს ნიკოლსა და მის ოჯახს მისთვის ასეთ ტრიუმფალურ წელიწადში მხარდაჭერისთვის“.

კერძო კოსმოსური ხომალდის პირველ რეისს 2010 წლისთვის გეგმავენ.

### გაზი — აგრესიული ფანატების დასაწყნარებლად

**ლათინურ ამერიკაში გრძელდება საფეხბურთო უწესრიგობანი, რაც დაკავშირებულია ფანატიკოს გულშემატკივართა აგრესიულ ქმედებებთან.** პერუში დაახლოებით ასამდე კაცი დაზარალდა ქვეყნის თასზე „უამანგის“ შეხვედრისას „უანკაიოსთან“: მატჩი თითქმის მთავრდებოდა, წინ მასპინძლები იყვნენ — 4:1, მაგრამ წაგებული ჰქონდათ პირველი მატჩი — 0:3, რაც მათ წინსვლის საშუალებას არ აძლევდა. ეს განსაკუთრებულ დაძაბულობას იწვევდა როგორც მინდორზე, ისე ტრიბუნებზე. დასასრულამდე 4 წუთით ადრე „უამანგის“ ფეხბურთელებს მოეჩვენათ, რომ მსაჯმა მცდარი გადაწყვეტილება მიიღო მეტოქის სასარგებლოდ. ისინი მსაჯს შემოეხვივნენ, დაუწყეს უცენზუროდ გინება, ვიღაცამ ხელიც კი გამოილო. ამ მომენტში მასპინძლების ქომაგებმა დაიწყეს მოედანზე ქვების სროლა. რის გამოც პოლიციამ გაზი გამოიყენა. შემდეგ ფანატებმა აურზაური სტადიონის გარეთ გააგრძელეს. მათ ცეცხლი წაუკიდეს პოლიციის მანქანებს. მატჩის მსაჯი კი ორ საათს იმალებოდა სტადიონზე პოლიციელთა დახმარების მოლოდინში, რათა თავიდან აეცილებინა „უამანგის“ აგრესიულად განწყობილ თაყვანისმცემელთა შურისძიება.

პერუელებს არც ეკვადორელი ფანატები ჩამორჩნენ. „ლიგა უნივერსიატარიასა“ და „დეპორტივო კიტოს“ შეხვედრის შემდეგ პოლიციასთან შეტაკებისას სულ ცოტა 15 კაცმა მიიღო სხვადასხვა ტრავმა. როგორც ეკვადორიდან იტყობინებიან, შეტაკების საბაბი გახდა პოლიციელთა მოქმედება, რომლებმაც ბრბოს გასაფანტად გაზი გამოიყენეს. მატჩი დამთავრდა 2:0 „დეპორტივო კიტოს“ სასარგებლოდ. რითაც მან ლიბერტადორესის თასის გათამაშებიდან გამოთიშა ახლანდელი თასის მფლობელი და ჩემპიონობასაც მიუახლოვდა.

### სპრინტერების სირბილის ზღვარი



**სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა მარკ დენიმ გამოიანგარიშა სპრინტერულ სირბილში ადამიანური შესაძლებლობების ზღვარი. მისი გამოკვლევით, 100 მეტრზე მამაკაცთა სირბილის რეკორდი შეიძლება იყოს 9,48 წამი. ქალები კი ამ მანძილს 10,39 წამში გადალახავენ. პროფესორის აზრით, ქალთა სიჩქარის მაქსიმუმი რაღაც 9-13 პროცენტით ნაკლებია მამაკაცებისაზე.**

შეგახსენებთ, რომ ახლა მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე ეკუთვნის იამაიკელ უსეინ ბოლტს — 9,69 წამი. ის წლეულს პეკინში ოლიმპიურ თამაშებზე დამყარდა. ქალთა სპრინტში კი მსოფლიო რეკორდი 1988 წლიდან არ შეცვლილა. ის ამერიკელმა ფლორენს გრაფიტ-ჯოინერმა დაამყარა.

### თაყვანისმცემლები შეაშინა

**გენუაში შეჯიბრების დროს მოულოდნელად ცუდად გახდა პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ცურვაში, იტალიელი ფედერიკა პელეგრინინი. მას სამედიცინო დახმარება დასჭირდა.**



მოცურავეს, მოდელსა და, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ლამაზმანს სუნთქვის პრობლემები შეექმნა ცურვის დროს, მისი თაყვანისმცემლების სასიხარულოდ, ყველაფერმა სასიკეთოდ ჩაიარა. თუმცა პრობლემა თავიდან ძალზე სერიოზული ჩანდა — ის იატაკზე იწვა და ნორმალურად ვერ სუნთქავდა.

ახლა, ექიმებს თუ დავუჯერებთ, პრობლემები მოხსნილია. საკითხავი მხოლოდ ისაა, როდის დაუბრუნდება ლამაზმანი მოცურავე წყლის ბილიკებს?

„ახლა თავს უკვე კარგად ვგრძნობ, — თქვა ფედერიკამ, — სიმართლე გითხრათ, ძალზე შევშინდი. ახლა ორიოდე დღით დასვენება არ მაწყენდა“.

## ფორუმი

**ყოველდღე უნდა ვიფიქროთ ჩვენს მომავალზე, – თქვა სანდრა რულოვსმა პარლამენტში გამართულ ახალგაზრდობის რეპროდუქციული ჯანმრთელობის ეროვნულ ფორუმზე. პროექტი გაეროს მოსახლეობის ფონდმა (UNFPAძ და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა განახორციელა, რომელიც დააფინანსა როგორც UNFPA, ასევე ევროკავშირმა (EUძ. ახალგაზრდობის რეპროდუქციული ჯანმრთელობის პროექტში ჩართულები არიან არასამთავრობო და სამთავრობო სტრუქტურები.**

# სექსი არ ისწავლებოდა, მაგრამ ადამ და ევას დროიდან ვმრავლდებოდით

## საქართველოში აბორტების რიცხვმა იკლო

ფორუმზე აღინიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში განიხილება ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, პოლიტიკა, სტრატეგია, საკანონმდებლო გარემო რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ახალგაზრდების უფლებების თვალსაზრისით, ასევე, მუშაობენ პრობლემების გადაჭრის გზებზეც.

ეს არის ერთ-ერთი უდიდესი პროექტი, რომელიც 2001 წლიდან ხორციელდება და რომლის საქმიანობაში აქტიურად არის ჩართული ქვეყნის პირველი ლედი. სანდრა რულოვსმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდების ინფორმირების თვალსაზრისით არასახარბიელო მდგომარეობაა, ამიტომ ამ პროექტში ახალგაზრდების ჩართვა აუცილებელია.



არამხოლოდ ოჯახი და სკოლა, არამედ საზოგადოება უნდა ილებდეს მონაწილეობას ახალგაზრდების აღზრდაში. კულტურა, განათლება, ჯანდაცვა, ეკლესია, – ერთობლივად უნდა ჩაერთოს ამ პროექტის განხორციელებაში, – აღნიშნა მან.

ფორუმს უძღვებოდა ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი, რომელიც ასევე აქტიურად არის ჩართული პროექტში. მისი თქმით, პარლამენტს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ამ საქმეში, ამ მხრივ კარგი ტრადიციაა. ჩვენ არ ვიქნებით პარლამენტში, მაგრამ პროგრამის მხარდაჭერა გაგრძელდებაო, – თქვა მან... ფორუმის მონაწილეებს შორის იყვნენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა დაცვის მინისტრი სანდრო კვიტაშვილი და ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ თოიძე.

პროექტის ხელმძღვანელმა თამარ ხომასურიძემ საქართველოში ორგანიზაციის კვლევებსა და ანალიზზე ისაუბრა და შედეგები წარმოადგინა. ამ პროექტისთვის ევროსაბჭომ 2,5 მილიონი ევრო გაილო და უკვე სამი წელია მუშაობენ . კვლევებს შორის საინტერესო იყო ის, რომ აბორტების რიცხვი საქართველოში შემცირდა და ბევრად ნაკლებია ევროპის ქვეყნებთან შედარებით, თუმცა ეს ხდება ჩასახვის საწინააღმდეგო კონტრაცეპტივების ხარჯზე, რაც ახალგაზრდების ინფორმირებულობის კარგი მაგალითიაო. მან ასევე ისაუბრა დემოგრაფიულ პრობლემებზე და მიუთითა, რომ დემოგრაფიის ზრდის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორი სილარიბის დაძლევააო. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 17-დან 24 წლამდე 28 ათას 300 ახალგაზრდაა, სოციალური პროგრამები სწორედ ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებისკენ უნდა იყოს მიმართულიო.

ფორუმზე დარიგდა ბროშურები, რომლებიც ახალგაზრდებისთვის არის გამიზნული, მათი ცნობიერების შესავსებად. ამ ბროშურებში საუბარია შიდსზე, ინტიმურ გრძნობებზე, შობადობის რეგულაციაზე, ორსულობასა და დედობაზე, გაუპატიურებასა და ძალადობაზე, გენდერულ თანასწორობაზე, სექსუალობასა და სექსზე, მასტურბაციის დადებით თვისებებზეც კი, – ანუ ყველა იმ თემაზე, რაც ყველაზე მეტად იზიდავს და ხიბლავს მოზარდს და რისი ცოდნაც პროექტის არსიდან გამომდინარე, სწორედაც რომ საჭიროა.

ფორუმს საპატრიარქოს წარმომადგენლები სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ, მაგრამ მამა ადამს, როგორც კი აზრის გამოთქმის საშუალება მისცეს, ერთგვარი დისონანსი შეიტანა ფორუმის ჰარმონიულობაში. მან მოძღვრის ინსტიტუტის გაფართოებაზე ისაუბრა. დღეს შეხმატკბილებით საუბრობდით ახალგაზრდების აღზრდაზე, მაგრამ ეს არ გვაძლევს დამშვიდების საშუალებას, – აღნიშნა მამა ადამმა, – ცუდია, რომ ჩვენი აქ ყოფნა მხოლოდ სტუმრობით შემოიფარგლა. ყველა გამომსვლელმა ისაუბრა ეკლესიის როლზე, მაგრამ ჩვენთან თანამშრომლობის მხრივ ნაბიჯი წინ არ გადადგმულა. ამბობენ ხოლმე, ეკლესიისგან კურთხევა გვაქვსო, მაგარმ ჩვენთან არავინ მოდის და ინკოგნიტო პირები თუ გყავთ, არ ვიცით. კრიტიკული იყო საპატრიარქოს წარმომადგენელი სკოლაში სექსუალურ თემებზე საუბრისას: ჩვენ რა, გაკვეთილზე უნდა შევიტანოთ სექსზე საუბრები? ეს მოზარდის აღზრდის მთლიანი კომპონენტი უნდა იყოს და არამც და არამც ცალკე თემად გამოყოფილი. ამ თემის ზედმეტად ინიცირება საჭირო არ არის. არ შეიძლება კონტრაცეპტივების ხარჯზე აბორტების შემცირება გვახარებდეს, როცა ჩვენი პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II სხვადასხვა პროგრამითა და გზით ცდილობს მოუწოდოს ერს გამრავლებისკენ. ამ საკითხზე უნდა ვიმსჯელოთ, ვისაუბროთ და ისე გადავწყვიტოთ, – დასძინა მან.

მართალია, გიგი წერეთელმა ეკლესიას თანამშრომლობა და აზრთა გაზიარება შესთავაზა, თუმცა ხვალ რომ სკოლაში სექსსა და შობადობის რეგულაციას არ ასწავლიან, ნაკლებად სავარაუდოა. მით უმეტეს, რომ ამ პროექტზე უცხოური მილიონებია დახარჯული და კიდევ ბევრი დაიხარჯება.

**ნია ფიფია**

## გამოფენა

# „ამდენი მზე არსად მინახავს...“



**ფოტოგრაფ მაიკლ კენას პოპულარობა კარგა ხანია გასცდა თავის სამშობლოს, ინგლისს და როგორც ამბობენ, მისი ფოტონამუშევრები თვეში შვიდჯერ მაინც გამოიფინება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მისი ნაწარმოებები დღეს მსოფლიოს ოც გალერეაშია წარმოდგენილი. ოქსფორდშაირის ბანბერის ხელოვნების უმაღლესი სკოლისა და შემდეგ ლონდონის ბეჭდვითი კოლეჯის დიპლომების მფლობელი, 55 წლის მაიკლ კენა ამჟამად ცხოვრობს სიეტლში, ვაშინგტონში, ძალიან ბევრს მოგზაურობს და გამოსცემს წიგნ-ალბომებს, რომლებშიც ფოტოებს თემების ან ქვეყნების მიხედვით აერთიანებს. ფოტოგრაფი 30-მდე წიგნის ავტორია.**

არ ითქმის, რომ ჟანრთა მრავალფეროვნება იზიდავს. მისი ძირითადი და საყვარელი ჟანრი პეიზაჟია, იშვიათად მიმართავს ნატურმორტს. იგი იღებს მხოლოდ და მხოლოდ შავ-თეთრ ფოტოებს, რადგან მიაჩნია, რომ შავ-თეთრი ძალიან კარგი მედიუმია მისთვის. „შავ-თეთრი ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფერადი, რადგან უფრო აბსტრაქტულია. სწორედ ეს მიზიდავს და არა ფერადი ფოტოსათვის დამახასიათებელი კონკრეტულობა. ყველაფერს ისედაც ფერში ვხედავთ, მე კი შავ-თეთრში მეტ მისტიკას და საიდუმლოს ვხედავ“, – ამბობს მაიკლ კენა.

მარტო პეიზაჟზე მუშაობა არ სწყინდება და ინტიმურ, პასტორალურ, რომანტიული ატმოსფეროს პეიზაჟებს იღებს. დიდხანს ერთ ადგილზე არ ჩერდება. ძალიან უყვარს ზღვისპირეთი. ძირითადად ღამე მუშაობს და 2-3 საათი, ზოგჯერ ოთხი საათის ლოდინიც სჭირდება, რათა ერთი ფოტო გადაიღოს. ამას ასე ხსნის: „დიახ, დიდხანს ვაკვირდები ბუნებაში მოვლენებს, ვაკვირდები სინათლეს, ცას, ღრუბლებს, ვარსკვლავებს და მხოლოდ ამის შემდეგ, რაღაც მომენტში ვიღებ ერთ ფოტოს, ჩემი ეს პასუხი ბევრს აღიზიანებს და მეუბნებიან – შეიძლება ამდენი ხანი არაფერი აკეთო და უცადოო? ასე იმიტომ ვიქცევი, რომ ვცდილობ ესა თუ ის მოვლენა თუ ფაქტი, თავიდან დავინახო, შევისწავლო. მიმაჩნია, რომ ყოველთვის შეგვიძლია უკვე ნაცნობი რამ თავიდან და ახლებურად დავინახოთ“.

იხ. 12 გვ.

## ინფორმაცია

# პატიმრებს წყურვილით კლავენ

**რუსთავის №2 საპყრობილეში წყლის პრობლემაა. ამის შესახებ პატიმრების მიერ სახალხო დამცველისადმი გაგზავნილ ერთობლივ მიმართვაშია საუბარი. პატიმრების თქმით, საკანში დამონტაჟებული სასმელი წყლის ონკანით სარგებლობა შეუძლებელია, რადგან დღე-ღამეში იქ წყალი მხოლოდ ორი ან სამი საათით მოდის. ამასთან, ისინი მიუთითებენ, რომ ბანაობა ვერ ხერხდება ყოველდღე, რადგან აბანო მხოლოდ კვირაში 3 დღე მუშაობს, ისიც 2-2 საათით.**

**დაწესებულებაში 1000 კაცზე ორი აბანოა გათვალისწინებული 10-10 შხაპით.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ხსოვნა

# ცეზარ ტოგონიძე



**წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი შესანიშნავი ადამიანი, გულისხმიერი კაცი, არაჩვეულებრივი მეოჯახე, თავის გეოლოგიურ დარგში საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული სპეციალისტი ცეზარ ტოგონიძე.**

**ბატონი ცეზარი ჩვენს კოლექტივს 6 წლის წინათ შემოუერთდა. ამ ხნის განმავლობაში რაჭა-ლეჩხუმის ყოფილმა მთავარმა გეოლოგმა ჩვენი კოლექტივის წევრების უდიდესი სიყვარული დაიმსახურა.**

**იგი მუდამ ჩვენს გვერდით იყო მთაში და ბარში, თოვლში და წვიმაში ყველა ტექნიკური საპროექტო გადაწყვეტილებების ინიციატორი, უდიდესი სპეციალისტი და არაჩვეულებრივი მეგობარი.**

**სამწუხაროდ დღეები დააკლდა, რომ მოსწრებოდა თავის პირველ შვილიშვილს.**

**გემშვიდობებით, ჩვენო ცეზარ!**
**ჩვენო საყვარელო ადამიანო!**
**შენ მუდამ დარჩები ჩვენს გულებში!**
**იძინე ტკბილად სამუდამო სასუფეველში.**

**შპს „გზაპროექტის“ კოლექტივი**

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა:** თუ შეიძლება, მაცნობეთ, რომელი წლიდან არის ძალაში საქართველოს ბოლო სამოქალაქო კოდექსი?

**ნელი გიორგაძე**

**პასუხი:** საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი ძალაშია 1977 წლის 25 ნოემბრიდან.

* * *

**კითხვა:** გთხოვთ განმიმართოთ, საქორწინო ხელშეკრულება მარტო არსებულ ქონებაზე იდება, თუ მომავალში შეძენილ ქონებაზეც შეიძლება დაიდოს?

**გიორგი ანჯაფარიძე**

**პასუხი:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1176-ე მუხლის შესაბამისად საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც უკვე არსებულ, ისევე მომავალში შეძენილ ქონებაზე.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

## ინფორმაცია

# აუქციონის ჩატარების შესახებ

**2008 წლის 9 დეკემბერს 15 საათზე ქ. სამტრედიაში გრიბოედოვის ქ. №55ა ტარდება შპს „რუს-ცემენტის“ სამეურვეო ქონების მეორე აუქციონი.**

შპს-ის მოვალეა ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექციაძ, რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისში რუსთაველის ქ. №1.

აუქციონზე გამოსატანი სამეურვეო ქონება, მდებარეობს იმ იურიდიულ მისამართზე, სადაც ტარდება აუქციონი.

სამეურვეო ქონების საწყისი ფასი შეადგენს 74063 (სამოცდათოთხმეტიათასსამოცდასამიძ ლარს.

აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ნებისმიერი პირი უფლებამოსილია, გაკოტრების მმართველს მიმართოს აუქციონის თაობაზე დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით. ინფორმაციის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს გაკოტრების მმართველი.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველებმა, გაკოტრების მმართველს უნდა წარუდგინონ განაცხადი, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.

შპს „რუს-ცემენტის“ გაკოტრების მმართველი დათუნა გიგინეიშვილი – ტელ: 8(99ძ286229.

რეკლამა
კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

## სულიერება

# ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება

4 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია უდიდეს დღესასწაულს – ყოვლაწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანას ზეიმობს.

...ყრმა მარიამი ღვთის მადლით ცხებული და მშობლების მზრუნველობით გარემოცული იზრდებოდა და მტკიცდებოდა.



გადმოცემა მოგვითხრობს, რომ როდესაც იგი ექვსი თვის გახდა, დედამ მიწაზე დასვა, სურდა გამოეცადა, შეძლებდა თუ არა ფეხზე დგომას. მარიამმა თურმე 7 ნაბიჯი გადადგა და კვლავ მასთან დაბრუნდა, მაშინ მართალმა ანამ ის ხელში აიტაცა და შესძახა: „ცხოველ არს ღმერთი ჩემი, შენ მიწას ფეხს არ დააკარებ, მანამ სანამდის უფლის ტაძარში არ მიხვალ“.

...მარიამი 3 წლის გახდა და დაუდგა ჟამი მშობლებთან განშორებისა. წმინდა იოაკიმემ და წმინდა ანამ მარიამის ტაძრად მიყვან(ებ)ის დღეს მიიწვიეს სტუმრად მეზობლები, ნათესავები და მეგობარნი. ამ კურთხეულ დღეს მათ ოჯახში ისრაელში დიდად პატივცემული მრავალი ადამიანი შეიკრიბა. ყრმა მარიამს სადღესასწაულო სამოსელი ჩააცვეს. მოხუცი მშობლები გოგონას აქეთ-იქიდან ამოუდგნენ და ნაზარეთიდან იერუსალიმისაკენ გაუდგნენ გზას... გზა ფსალმუნთა გალობით განვლეს.

...მესამე დღეს, განთიადისას ეს დიდებული პროცესია ტაძრის ეზოში შევიდა. წინამძღოლ ქალწულთა გუნდს უფლის ანგელოზებიც შეუერთდნენ. ტაძრიდან მათ შესახვედრად იოანე ნათლისმცემლის მამა – ზაქარია გამოვება... ყრმა მარიამმა, როგორც კი კიბეზე ფეხი შედგა, დაუხმარებლად აირბინა 15 საფეხური და მუხლებზე შემოეხვია ზაქარიას. ზაქარია მიხვდა, რომ ეს ყრმა იყო სამკვიდრებელი ღვთის მადლისა, გაიხსენა, რომ სჯულის კიდობანი, კანონთა მიხედვით, წმინდა წმინდათაში უნდა ყოფილიყო დაბრძანებული, მიხვდა, რომ ეს მარიამზე იყო ნათქვამი, და წმინდა ქალწული წმინდა წმინდათაში შეიყვანა.

**გიული ლიპარტია**



## ძვირფასო მკითხველო!

# ჩვენს გაზეთზე ხელმოწერა გაიაფდა!

## თქვენი თანადგომისა გვჯერა

ფინანსური და ზნეობრივი პრობლემებით სავსე საქართველოში გაზეთმა **„საქართველოს რესპუბლიკამ“** შეინარჩუნა თავისი აკადემიური ტონი, პრინციპულობა და მიუკერძოებლობა, სითამამე და სიმართლე. ჩვენთვის არ არსებობს ყალბი ავტორიტეტები, ტაბუდადებული თემები, აკრძალული პრობლემები.

მკითხველთა აღიარებით **„საქართველოს რესპუბლიკა“ ყველაზე სანდო, დახვეწილი,** კარგი ქართულით გამორჩეული, ტრადიციული, ჭეშმარიტად ეროვნული გაზეთია.

**წლეულს, გაგანია ომის წინა დღეებში, „საქართველოს რესპუბლიკას“** 90 (ოთხმოცდაათიძ წელი შეუსრულდა!

რედაქციამ გადახედა თავის ფინანსურ შესაძლებლობებს და მოსახლეობის შეჭირვებული ყოფა-ცხოვრების გათვალისწინებით, გაძვირების ნაცვლად 2009 წლის იანვრიდან აიაფებს გაზეთზე ხელმოწერის ფასს. ამიერიდან „საქართველოს რესპუბლიკა“ ერთი თვით მხოლოდ 10 ლარი ეღირება!

**ჩვენო ერთგულო მკითხველო! – შეატყობინეთ ყველას გაზეთის გაიაფების ამბავი და გამოიწერეთ ყოველდღიური, ყველაზე გაწონასწორებული, ყველაზე სანდო, ყველაზე ეროვნული „საქართველოს რესპუბლიკა“!**

შეგახსენებთ იმ ორგანიზაციებს, სადაც გაზეთზე ხელმოწერა შეგიძლიათ: მაცნე – 37.47.49; 25.33.88; საქპრესა – 93.30.40; ექსპრესი – 93.66.78; უწყებანი – 93.64.72; ინფოსერვისი – 95.48.82; რუბიკონი – 96.45.69.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ აგრეთვე უშუალოდ რედაქციაში – კოსტავას ქ. №12. დაგვიკავშირდით ტელეფონებზე – 98.65.87, 899 79.76.79; 899 56.81.86.

**ბიზნესმენებს და რეკლამის ორგანიზატორებს შევახსენებთ, რომ ჩვენთან რეკლამა ყველაზე იაფი და მომგებიანია!**

გაიაფების შემდეგ გაზეთზე ხელმოწერა სამი თვით ღირს 30 ლარი, ექვსი თვით – 60 ლარი, ერთი წლით – 120 ლარი.

ჩვენი ინდექსია – 66434

**თქვენი თანადგომა ჩვენი გაზეთის აღორძინების ერთადერთი გზაა.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ, გაზეთი, რომელსაც ჩვენი სამშობლოს სახელი ჰქვია!**

## ხუმარსიტყვა

# სადღეისო აზრები

- შემჩნეულია, რომ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ძირითადად ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს: საპარლამენტო უარესობა და საპარლამენტო უმწვირესობა...
- ხელისუფლების ამიშმიშებას საზოგადოების ავიშვიშება მოჰყვა.
- ნაციონალები (ანუ ბაცი ონავრებიძ ისე მისდგნენ ისტორიულ პიროვნებათა ძეგლებს, რომ არ იცი, ხვალ ვისი ჯერი დადგება და უნებლიეთ შესძახებ: ჰეი, ვინ მოდის მანდ... წარსულიდან?
- მას აქეთ, რაც გიგა ერთ-ერთი ისედაც წარმატებული მინისტრის მოადგილედ დაინიშნა, ჩვენს საგარეო პოლიტიკაში გიგანტური ნაბიჯები გადაიდგა...
- კონსტიტუციაში უთუოდ უნდა შევიტანოთ ცვლილება: „საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს საკუთარი პოლიტიკური პარტიის შექმნის უფლება“.
- საფრანგეთის პრეზიდენტმა ჩვეული სარკოზმით განაცხადა, რომ რუსეთმა წარმატებით შეასრულა ექვსპუნქტიანი შეთანხმების ოთხი პუნქტი...

**თამაზ ილმელი**

## გამოფენა

# „ამდენი მზე არსად მინახავს...“

**(მეთერთმეტე გვერდიდან)**

ყოველივე ამის შესახებ მაიკლ კენამ თბილისელ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე გვიამბო. დიახ, ცნობილი ფოტოგრაფი ამჟამად თბილისშია საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ალ. დიუმას ფრანგული კულტურის ცენტრისა და თბილისის ფოტოგრაფის სახლის მოწვევით იმყოფება და თბილისელებს შესთავაზა თავისი ექსპოზიცია.

ქარვასლის საგამოფენო სივრცე შეავსო ფოტოგრაფის ფრანგულმა პეიზაჟებმა, რომელსაც იგი 30 წლის განმავლობაში იღებდა. საფრანგეთი მაიკლ კენასთვის ის ქვეყანაა, რომელიც ყველაზე მეტად და ყველაზე ბევრჯერაც გადაუღია, ხშირად სტუმრობს იაპონიას. ჩრდილოეთ იაპონიას თავის სამშობლოს ადარებს. ავტორი თბილისელებს ძირითადად ღამის ზღვის პეიზაჟებს სთავაზობს. დამთვალიერებელი უთუოდ დარწმუნდება იმაში, რომ მაიკლ კენა ჭეშმარიტი ფოტოხელოვანია თავისებური, ორიგინალური ხედვით, მახვილი თვალით, ფირზე აღბეჭდავს ისეთ საინტერესო კადრებს, რომელიც რიგითი ადამიანებისთვის ხშირად შეუმჩნეველია.

როგორც ამბობს, ყველანაირი ფოტოაპარატით შეუძლია გადაიღოს და ამის დასტურად დასკოჩილი ძველთაძველი აპარატი გვიჩვენა.

საქართველოში ოთხი-ხუთი დღეა, რაც იმყოფება, იმოგზაურა ყაზბეგში. ასე ბევრი მზე არსად მინახავსო, – გვითხრა ქართული პეიზაჟებითა და მოხევური ხინკლით აღტაცებულმა ხელოვანმა და ესეც დასძინა:

– ქართველს იმაზე დიდი გული აქვს, ვიდრე თვითონ არისო, – ასეთია მისი პირველი ქართული შთაბეჭდილებები.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**



## ანეკდოტები

– როგორ გეძინა ამ ეკონომიკური კრიზისის პირობებში? – ეკითხება ბიზნესმენი მეგობარ ბანკირს.

– როგორც პატარა ბავშვს.

– რა? მართლა ასე ღრმად გძინავს?

– არა. მთელი ღამე ვტიროდი, ორჯერ კი ჩავისვარე...

* * *



– წარმოგიდგენია, მას მხოლოდ ჩემი ფული, მანქანა, რესტორნები, ვილები და აგარაკები აინტერესებს!

– მერე რა ჭირად გინდა ასეთი, საბოლოოდ შეაქციე ზურგი და წიხლიც უთავაზე!

– კია ღირსი, მაგრამ ასე იოლად მოიშორებ საგადასახადო ინსპექციას?

* * *

– დახუჭეთ მარცხენა თვალი... რომელია ქვედა მწკრივში პირველი ასო? – ეკითხება ოკულისტი პაციენტს.

– „ბ“.

– უფრო ყურადღებით შეხედეთ.

– „ბ“.

– აბა, გაახელთ მარცხენა თვალი... ახლა რომელია პირველი ასო?

– უკვე ორჯერ გითხარით – „ბ.

ოკულისტი დაფასთან მივიდა, დახედა:

– მართლაც „ბ“ ყოფილა, ხო იცი!

* * *

ქალმა თერაპევტთან ბავშვი მიიყვანა. ექიმმა ბავშვი გასინჯა.

– ბავშვი მკერდით იკვებება თუ ხელოვნურად? – ეკითხება იგი ქალს.

– მკერდით.

– გაიხადეთ, მოიხსენით ლიფი.

ექიმი დიდხანს და გულმოდგინედ სრესს და ზილავს ქალის ძუძუებს.

– მდაა... თქვენ, ჩემო კარგო, რძე არა გაქვთ. ამიტომაც არის ბავშვი მშიერი!

– საერთოდ მე ამ ბავშვის დედა კი არა, დეიდა გახლავართ, მაგრამ მაინც ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ გეწვიეთ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი 98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.